პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 სამშაბათი 12 ოქტომბერი № 240 (16670) ფასი 2 კაპ. 1976

ვრცელია ჩვენი დედა-საქალაქო

მოსკოვი. კრემლი. ვ. ი. ლენინის ძეგლთან.
ვ. კოშელევის ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

საოქტომბრო ვახტზე

ზეგეგმითი პროდუქცია

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც საოქტომბრო ვახტზე დადგა, ვადამდე გეგმის გადამეტებით გაგზავნა ხაბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში 20 ტონა სურნელოვანი პროდუქცია. ახლა საწარმოს მეშაკებმა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი, ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან არა 180 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი, როგორც ამას წინათ ვარაუდობდნენ, არამედ 200 ტონა.

ძირითადად საწარმოს წარმატებანი განაპირობა დასახული მიზნების მიღწევის პროგრამის ხუსტად განხორციელებამ. მაგალითად, ჩაის მიწოდების ახალმა ტექნოლოგიამ შეცვალა მეშების განაწილება კონვეიერთან, რამაც შრომის ნაყოფიერება თითქმის 20 პროცენტით გაზარდა. იმის მეოხებით, რომ თვითეული მეშა დაეუფლა მომიჯნავე სპეციალობებს, შრომის მოწინავე ხერხებს, ყველა ცვლა უშვებს ზეგეგმით პროდუქციას.

სერიოზული ყურადღება ეთმობა ფაბრიკაში ახალი ტექნიკის დანერგვასა და მისი საპროექტო სიმძლავრეების ათვისებას. ყველაზე მნიშვნელოვან სიახლეთა შორისაა ჩაის ახალი შესაფუთი ავტომატები. (საქინფორმი).

ინიციატორთა მაგალითით

ჟიათურა. რუსთაველ მეტალურგთა მოწოდებას — „არცერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!“ ქალაქში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა „ჟიათურშახტმშენის“ სამმართველოს (დირექტორი ზ. მშვენიერაძე) კოლექტივი.

შახტმშენელებმა 2.390 ათასი მანეთის მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს და მიმდინარე წლის 9 თვის დავალება თითქმის ერთი თვით ადრე გაანაღდეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და ახლა წინასაოქტომბრო ვახტზე დგანან ახალი ათხვისის, კოროხნალის, დარკვეთის, ძველი ითხვისის უბნები, რომლებსაც ჯ. ჩხეიძე, ალ. ზაქარაშვილი, ა. კვიციანი და ნ. გოგატიშვილი ხელმძღვანელობენ.

შახტმშენელები კისრულობენ წლეულს დამატებით კიდევ შეასრულონ ერთი მილიონი მანეთის სამუშაოები.

ს. კუპატაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

განვამტკიცოთ და განვავითაროთ მიღწეული, წარმატებით დავამთავროთ მეათე ხუთწლედის პირველი წელი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა გაფართოებული თათბირი სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი რეწველობის მუშაობის მიმდინარე წლის ცხრა თვის შედეგების შესახებ. თათბირში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, ამ აპარატების, გაერთიანებებისა და ტრესტების პარტიული კომიტეტების მდივნები, ზოგიერთი რაიონის სოფლის მეურნეობის ხამმართველთა უფროსები.

განსახილველ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. კიკნაველიძემ.

მიღწეულია და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების შედეგები გაანალიზეს თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. თეთრუაშვილმა, წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. ხუციურაულმა, სამრეწველო გაერთიანების „საქთამბაქოს“ უფროსმა ვ. უნგიაძემ, სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ი. ხარატიშვილმა, სამრეწველო გაერთიანების „საქეთერზეთმრეწველის“ უფროსმა რ. მემარნიშვილმა, მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორმა გ. ზაუტაშვილმა, სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის“ უფროსმა ა. მელუამ, ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორმა რ. ფანცხავამ. ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრმა ი. უბილავამ, სამრეწველო გაერთიანების „საქკოსერვის“ უფროსმა თ. კოპალიანმა, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კ. შავიშვილმა, კვების მრეწველობის მინისტრმა რ. კონცელიძემ, საწარმოო გაერთიანების „საქთეგზმრეწველის“ უფროსმა ლ. უკლობამ, სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის დირექტორმა ნ. ჩხოლორიამ, დამზადების მინისტრმა შ. ჭანუყვაძემ, აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების უფროსმა ა. მგელაძემ, ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. კუტალიამ.

თათბირის მონაწილეებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, თუ რა გმირული შრომა გასწიეს ქართველმა მეჩაიეებმა, რომლებმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მისალმება დაიმსახურეს.

მიმდინარე წლის ცხრამა ამინდმა გააჯანურა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადები. ასეთ პირობებში, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, საჭიროა განსაკუთრებით დაფიქრებამოთ, მაქსიმალურად და ყაირათიანად გამოვიყენოთ ყოველი დარიანი დღე და საათი. თავდადებით შრომობენ მევენახეები, ცდილობენ სახელმწიფოს მიჰყიდონ რაც შეიძლება მეტი მეღვინეობის ნედლეული.

დღეს, როცა კურკოვანი ხილის დამზადების შესაძლებლობანი თითქმის მთლიანად ამოიწურა — მისი შესყიდვის გეგმა მხოლოდ 86 პროცენტით შესრულდა, თითქოს უნდა გაძლიერებულიყო თესლოვანი ხილის კრეფის ტემპი. მაგრამ დამზადებულია სულ 102 ათასი ტონა, რაც 23 ათასი ტონით ნაკლებია, ვიდრე შარშან ამ დროისათვის იყო, საკმარისი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან თესლოვანი ხილის დამზადებას ბორჯომის, თიანეთის, ცაგერის, ონის, კასპისა და მთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობები. იმის მაგალითს, თუ რა ბევრი რამ არის დამოკიდებული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორულ მუშაობაზე მოსავლის აღების პროგრამაში, გვიჩვენებს ყვარელი რაიონი, სადაც დამზადების გეგმა 89 პროცენტით შესრულდა, და ლაგოდეხის რაიონი, რომელსაც თითქმის თანაბარი დავალება აქვს, მაგრამ ხილის დამზადების გეგმა მხოლოდ 5 პროცენტით შეასრულა. ანალოგიური შეუსაბამობა აქვთ ცხაკაიასა და წალენჯიხის რაიონებს: თუ პირველში გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს, მეორეში თითქმის ასეთივე დავალება მხოლოდ 41 პროცენტით არის რეალიზებული.

კარგი პირი უჩანს ციტრუსების მოსავალს. საჭიროა ყოველმხრივ მოვეშაზადოთ მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის კრეფის, გადამუშავებისა და ტრანსპორტირებისათვის. განსაკუთრებით უნდა გავაძლეროთ ბრძოლა ციტრუსების დატაცების, განიავების, სპეკულაციის, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უკანონო გატანის წინააღმდეგ.

ყოვნდება კარტოფილის მოსავლის აღება. ოქტომბრის დამდეგისათვის დამზადებული იყო 8 ათასი ტონით ნაკლები კარტოფილი, ვიდრე შარშან ამავე თარიღისათვის. თუ შარშან ამ დროისათვის წალკის რაიონში 2.800 ტონა კარტოფილი იყო დამზადებული, წელს დამზადებულია ოთხჯერ ნაკლები, კარტოფილის აღებას აპირებენ ახალციხის, ახალქალაქის, დიგომის, ასპინძის, ხაშურის რაიონების მეურნეობებში, რაც განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, თუ მხედველობაში მივიღებთ წლევანდელ მერყევ ამინდს.

იმასთან დაკავშირებით, რომ გაისად უნდა გაიზარდოს საადრეო კარტოფილის მიწოდება საკავშირო ფონდში, საჭიროა ახალი იარაოვიზატორები, რომლებიც დადგენილ ვადებში უნდა ააშენონ სასოფლო შშენებლობის სამინისტრომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის დაყოვნება არ შეიძლება. იარაოვიზატორები დროზე უნდა ჩადგეს მწყობრში.

შარშანდელზე უკეთ მიმდინარობს ბოსტნეულის დამზადება. 9 თვის მანძილზე წლიური გეგმით გათვალისწინებული 250 ათასი ტონიდან შესყიდულია 200 ათასი ტონა, რაც 37 ათასი ტონით მეტია, ვიდრე წინა წლის სამი კვარტალის მანძილზე იყო. მაგრამ ზოგიერთი რაიონი ვერ ასრულებს ასორტიმენტის დავალებებს. ამ მხრივ საყვედურს იმსახურებენ კასპის, საგარეჯოს, ქარელის რაიონები, ქალაქ ფიროთურის ზონისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობები. თუ შარშან თეთრი წყაროს რაიონმა დაამზადა 170 ტონა კიტრი, წელს მხოლოდ 127 ტონა დაამზადა, რაც დავალების მეოთხედს შეადგენს. აბაშის რაიონში დაგეგმილი 300 ტონა კიტრის ნაცვლად დამზადებულია ექვსჯერ მეტი, ხოლო მეზობლებმა — ცხაკაიელებმა გეგმის მხოლოდ მესამედი შეასრულეს.

ჩვენი მეცხოველეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეასრულეს ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ცხრა თვის დავალება. მაგრამ არ უნდა დაივიწყონ ის გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც მათ ყუბანელ მხვნელ-მთესველთა მოწოდების პასუხად იკისრეს, რადგან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ახლანდელი ტემპი ვერ უზრუნველყოფს ამ დავალების შესრულებას.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შენარჩუნება და გამრავლება, მათი პროდუქტიულობის გადიდება, პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გეგმების წარმატებით შესრულება მეოთხე კვარტალში, და ასევე მომავალი წლის პირველ კვარტალში, ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ უზრუნველყოფენ პირუტყვს გამოზამთრების პერიოდში მაღალხარისხოვანი საკვებით. თათბირზე გაიხსენეს გასული გამოზამთრების სავალალო გამოცდილება, —როცა ზოგიერთმა რაიონმა თუმცა წლინახევარ-ორი წლის საკვების მარაგის დამზადება უპატაკა სამშობლოს, მაგრამ ფაქტიურად თებერვალ-მარტში ნამკის ძებნაც კი დაიწყო. რადაც უნდა დაგვიჯდეს ყოველ პირობით სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე უნდა დამზადდეს სულ ცოტა 16 ცენტნერი საკვები ერთეული. აღინიშნა, რომ ბევრ რაიონში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, აღებული თივა არ მიაქვთ ფერმებში, შემოსავალში არ ატარებენ. საჭიროა სანმეშუოდ მოეწყოს ყველა მოსამზადებელი სამუშაო: შენობებისა და მექანიზმების რემონტი, სათანადოდ მოწესრიგდეს ზოოტექნიკური აღრიცხვა, განხორციელდეს ვეტერინარული ღონისძიებები, იზრუნონ მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობებისათვის, ესე იგი ყველაფერი აღონონ, რათა გამოზამთრების დროს პირუტყვის პროდუქტიულობა არ შემცირდეს.

არ უნდა დაივიწყონ სახელმწიფოსათვის თივისა და ბალახის ფეგნილის მაყიდვის ვალდებულებანიც. განა შეიძლება, რომ ახალციხის რაიონმა, თუმცა გეგმით 195 ტონა თივა უნდა მიეყიდა სახელმწიფოსათვის, მაგრამ არცერთი ტონა არ მიუყიდია, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, ხობის რაიონებს, ქალაქ წყალტუბოს ზონის მეურნეობებს სახელმწიფოსათვის საერთოდ არ მიუყიდიათ ბალახის ფეგნილი?

თათბირზე გააანალიზეს აგრეთვე საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ საშემოდგომო თესვის, თესლის მომზადების, მზრალად ხვნის ტემპი უნდა გაძლიერდეს.

ცხრა თვის პროგრამა წარმატებით შეასრულეს კვების მრეწველობის საწარმოებმა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 18 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია. ამასთან ზოგიერთმა საწარმომ, მაგალითად, „სამტრესტის“ წინანდლისა და გურჯაანის საწარმოო გაერთიანებებმა, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ვერ შეასრულეს, ძირითადად ღვინის ხარისხის გაუარესების გამო.

წელს, როცა ღვინის მრეწველობა აშკარად ვერ მიიღებს ყურძლის ნაწილს, კონსერვის მრეწველობას შეუძლია და კიდევაც უნდა შეავსოს ის განსხვავება, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკაში ყურძნის დამზადების გეგმის შეუსრულებლობის გამო შეიქმნება. მილიონობით მანეთის დამატებითი პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა აქვს კონსერვის მრეწველობას, იმ პირობით, ეს კი აუცილებლად უნდა შესრულდეს, თუ გამოიყენებს ხილბოსტნეულის ნედლეულის არსებულ რესურსებსა და ველურ ხილს, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ტყეები.

ის დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, რომელიც ახლა რესპუბლიკის ყველა კუთხეში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სუფევს, პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა პროდუქტის წარმოებასა და დამზადებაში, სოფლად ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა დაუქვემდებარონ იმას, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, კიდევ უფრო გაძლიერდეს სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინა და მშრომელებმა კონკრეტული საქმეებით უპასუხონ რუსთაველ მეტალურგთა მოწოდებას, წარმატებით დაამთავრონ მეათე ხუთწლედის პირველი წელი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატარაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ო. ვარამელაშვილი და ო. ივანაშვილი.

(საქინფორმი).

რთველი — დროულად, უდანაკარგოდ!

სად რამდენი მოიკრიფა

(ტონობით—11 ოქტომბრისათვის)

გურჯაანი	42·955
თელავი	21·815
სიღნაღი	11·847
წითელწყარო	11·767
ყვარელი	10·615
ბოლნისი	6·912
ახმეტა	6·449
საგარეჯო	3·733
გარდაბანი	2·613
ლაგოდეხი	2·382
მარნეული	2·084
საჩხერე	974
მცხეთა	456
ზესტაფონი	298
თეთრი წყარო	297
მაიაკოვსკი	267
ვანი	188
სამტრედია	163
თერჯოლა	128
წყალტუბო	117
ჩოხატაური	98
ორჯონიკიძე	92
წულუკიძე	40
ჟიათურა	35
მახარაძე	29
დუშეთი	27
ლანჩხუთი	22
ტყიბული	5
სულ საქართველოში	—126.408

მევენახეთა მისაბაძი მაგალითი

საკარმიდამო ნაკვეთებიდან —სახელმწიფო მარანში

გურჯაანი

ალექსანდრე მხარგრძელმა (ველისციხეში მცხოვრები) სახელმწიფოს მიჰყიდა 4.432 კილოგრამი ყურძენი.

გივი დალაქიშვილმა (ველისციხეში მცხოვრები) სახელმწიფო მარანში მიიტანა 3.300 კილოგრამი. ყურძენი.

თელავი

ვასილ ქართველიშვილმა (სოფელ გულგულაში მცხოვრები) სახელმწიფოს მიჰყიდა 4.846 კილოგრამი ყურძენი.

ვახტანგ ლამაზოშვილმა სახელმწიფოს ჩაბარა 4.888 კილოგრამი ყურძენი.

ყვარელი

ბიზილა კოკლამაზაშვილმა (ახალსოფელში მცხოვრები) სახელმწიფოს მიჰყიდა 5.500 კილოგრამი ყურძენი.

შედეგები შეაჯამეს

11 ოქტომბერს გაიმართა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს სხდომა, **რომელზეც** განიხილეს შედეგები, თუ როგორ შესრულდა რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, სოციალისტური ვალდებულებანი და სახელმწიფო ბიუჯეტი 1976 წლის ცხრა თვეში, იმსჯელეს ამოცანებზე, **რომლებიც** რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის უნდა განხორციელდეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, იმ მითითებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, **რომ**ლებიც ყაზახეთის პარტიულ-საბჭოთა ეკონომიკურ აქტივის თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ რუსეთის სფსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომებს დაავალა გაანალიზონ მიმდინარე წლის ცხრა თვის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების შეფეგები, განაგრძარონ ყველა ღონისძიება, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს 1976 წლის გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. სოლომენცევმა. (საკავშირო).

ლენინგრადსა და ტაშკენტში

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია საბჭოთა კავშირში

ლენინგრადი, 11 ოქტომბერი. (საკავშირო კორ.). დღეს ლენინგრადიდან ტაშკენტში გაემგზავრა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი ა. ა. ნეტო, **რომ**ელიც ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფოებრივ დელეგაციას მეთაურობს. დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ვ. რომანოვმა, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ი. არისტოვმა, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. ნ. ზაიკოვმა.

ტაშკენტი. 11 ოქტომბერი. (საკავშირო კორ.). დღეს ა. ა. ნეტო და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები ტაშკენტში ჩამოვიდნენ. აეროპორტში ხტუმრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. მ. მატჩანოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. დ. ხუდაიბერდიევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა პენსიაში გასვლის გამო გაათავისუფლა ამხ. მეთოდე ნაუმის-ძე **ხვეშნიკოვი** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. ვლადიმერ სერგის-ძე **ალხიმოვი.**

მეგობრული ვიზიტით

საბჭოთა კავშირში მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მომავალი სტუმრობის გამო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 1976 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ეწვევა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის იუმჟაგინ ცედენბალის მეთაურობით.

ქართული მეცნიერების სიამაყე

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა



ვამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებლის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის უკანასკნელი აკორდი იყო საიუბილეო სხდომა, რომელიც ცხრა ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

შესანიშნავი მეცნიერის, მოქალაქისა და პატრიოტის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ აქ რეპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები, მეცნიერის დიდი ნიჭის თაყვანისმცემელნი, სტუმრები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, სტუდენტი ახალგაზრდობა, ივანე ჯავახიშვილის ნათესავები და ახლობლები.

სადღესასწაულოდ იყო მორთული დიდი საკონცერტო დარბაზის სცენა. მის სიღრმეში ივანე ჯავახიშვილის უზარმაზარი პორტრეტი მოჩანდა. პროექტორები ანათებდნენ ციფრს „100“.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **პ. გილაშვილი, ო. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ე. შარტავა, ო. ჩერქეზიანი, ს. ხაბეიშვილი,** აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის იუბილეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ი. ვეკუა,** მეცნიერთა დელეგაციების ხელმძღვანელები: მოსკოვისა — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ბ. სტეპანოვი** და **ვ. იარცევი,** ლენინგრადისა — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ერმიტაჟის დირექტორი აკადემიკოსი **ბ. პიოტროვსკი** და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **მ. ბოგოლიუბოვი,** აზერბაიჯანისა — აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი **ა. სუმბათ-ზადე,** სომხეთისა — სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ა. ოგანისიანი,** უკბეკეთისა — უკბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ი. ხალიმოვი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, **ალ. ალფაიძე,** ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი **ბ. ბიბილეიშვილი,** ეროვნული ბიბლიოთეკის ლაურეატ

ქართული მეცნიერების სიამაყე

(დასასრული)

იმის კიდევ ერთი მკაფიო გამოგლენებაა, რომ პარტია და მთავრობა განუწყვეტელ ზრუნვენ ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ივანე ჯავახიშვილის სახელოვანი ცხოვრების გზაზე, მის მეცნიერულ და საზოგადო მოღვაწეობაზე. დიდი მეცნიერის ხელმძღვანელობით, თქვა მან, ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიული მეცნიერების დონემდე ამაღლდა. დიდია მისი დამსახურება არა მარტო საქართველოს ისტორიის, არამედ აგრეთვე სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შესწავლაში. მისი შრომები ფილოლოგიის, ხელოვნების, მუსიკის ისტორიის დარგში მაგიდის წიგნები გახდა სპეციალისტებისათვის.

ივანე ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არქეოლოგიაში. იგი არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი და მეცნიერი-კონსულტანტი იყო მცხეთაში, დმანისში, გეგუთსა და ბოლნისში. მეცნიერის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური შრომები საქართველოს ეკონომიკის შესახებ. მის მონოგრაფიაში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ მოცემულია უნიკალური მასალები ძველი საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილის ფასდაუდებელ შემოქმედებითს მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის ფუნდამენტურ ოთხტომეულს „ქართველი ერის ისტორიას“.

ალბათ საქართველოს ისტორიის დარგში არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რომლისთვისაც მკვლევარს უდიდესი ყურადღება არ დაეთმოს. მან სამართალი ნაუყარა არა მარტო ჩვენს ისტორიოგრაფიას, არამედ ქართულ-კავკასიურ ენათმეცნიერებასაც. მისი შრომა „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ გაკვირვებას იწვევს სამეშაოთა იმ მასშტაბურობით, რომლებიც მკვლევარმა შეასრულა ენათმეცნიერების საკითხებზე.

საბჭოთა ისტორიოგრაფია და ბევრი სხვა ჰუმანიტარული მეცნიერება, აღნიშნა ორატორმა, თავის წარმატებას ბევრად უნდა უმადლოდეს ივანე ჯავახიშვილს.

მომხსენებელმა გააშუქა მეცნიერის დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელმაც მთელი თავისი მაზნებარე ენერგია, ნიჭი და შთაგონება მოახმარა სამშობლოს, ხალხის უანგარო და თავდადებულ სამსახურს.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დამსახურების უდიდესი აღიარება ეს არის, თქვა მან, რომ გამოჩენილი მეცნიერის მიერ დაწყებული საქმეს წარმატებით განაგრძობენ მისი მოწაფეები, საქართველოს ისტორიკოსთა შესანიშნავი სკოლა, რომლებიც ამუშავებენ წარსულისა და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ღირსეულად წყვეტენ ამოცანებს, რომლებიც მეცნიერებას დაუსახეს თვით ცხოვრებამ, ხალხმა, კომუნისტურმა პარტიამ.

საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში, თქვა დასასრულ გ. მელიქიშვილმა, უკავდავი იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელი, რომელმაც შეასრულა ყველაზე მძიმე სამშაო — მოამზადა სამამულო მეცნიერების აღმავლობის ნიადაგი.

საიუბილეო სხდომის მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ უხუცესი ქართველი მეცნიერების, ივანე ჯავახიშვილის მოწაფისა და თანამოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **აკაკი შანიძის** გამოსვლას.

— დღეს ჩემი გული უდიდესი სიხარულითაა აღსავსე, — თქვა მეცნიერმა. — მსურს თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივისა და ფართო საზოგადოებრობის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო პარტიასა და ხელისუფლებას ივანე ჯავახიშვილის იუბილეს ასე ფართო მასშტაბით მოწყობისათვის.

ივანე ჯავახიშვილს წილად ხვდა პატივი განეგრძო დიდი ლია ჭოჭუაძის საქმე, რომელიც ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით დაგვირგვინდა. ბევნერი ვარ, რომ ვმეგობრობდი ასეთ ადამიანთან — ჯერ როგორც მოწაფე, მოგვიანებით კი როგორც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი მონაწილე.

სიტყვას ამბობს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ერმიტაჟის დირექტორი აკადემიკოსი **ბ. პიოტროვსკი.** მან ილაპარაკა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის — დიდსულოვანი და კეთილშობილი ადამიანის უდიდეს ეროვნებაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მრავალმხრივი იყო მისი მეცნიერული ინტერესები, რომ მან უდიდესი წვლილი შეიტანა არა მარტო საქართველოს ისტორიაში, არამედ ეკონომიკისა და სამართლის ისტორიაში, არქეოლოგიაში, ქართული მუსიკის ისტორიაში.

დღეს თვითონულ აქ გამოსულ ორატორს, თქვა მან, — ივანე ჯავახიშვილი მიაჩნია თავის მეგობრად, მასწავლებლად, კოლეგად ლენინგრადის ფილიალიდან ერთ-ერთ ასეთ ფართო მასშტაბით მოწყობისათვის.

ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის ეროვნული ენციკლოპედიის ფილიალის ასი ფართო მასშტაბით მოწყობისათვის.

ივანე ჯავახიშვილი ერთ-ერთ ცნობილ ფოტოსურათს, რომელიც მტერთან ბრძოლაში დაცემულ უცნობ ჯარისკაცს უბეში უპოვნეს. ამ ფოტოსურათზე მებრძოლს წაუწერია სიტყვები: „მივდივარ ბრძოლაში, შენ ჩემთან ხარ, ჯავდები კომუნისტად, ძვირფასო მამა!“.

მუდმივი გამოფენის სტენდებზეა ლენინური პარტიის რიგების ზრდის დიაგრამები, ცოფები, პარტიის წევრთა ეროვნული შემადგენლობა საკავშირო მასშტაბით, აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტია ციფრებში (1921-1976 წლები).

გამოფენის ბოლო სტენდზეა სკკპ XXV ყრილობის მასალები და დოკუმენტები. გამოფენა მთავრდება ვ. ი. ლენინის სიტყვებით: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია“.

ბუნებრივია, ბევრს იზიდავს ეს მუდმივი გამოფენა „ლენინური პარტიის პარტიული ბილეთი“.

ს. ყურაშვილი.





მუდმივი გამოფენა

ლენინური პარტიის პირველი ბილეთი

გიორგი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი

ეს შესანიშნავი გამოფენა ახლახან მოეწყო ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. მეორე სართულზე მას დაეთმო ერთი ვრცელი დარბაზი.

გამოფენა გაკეთებულია გულმოდგინედ, აზრიანად და ოპერატიულად. გამოფენის ცენტრშია ვ. ი. ლენინის ვეებერთელა სურათი. იქვეა ლამაზი ასოებით დაწერილი ბელადის გამონთქვამი: „პარტიის ყოველი წევრი პასუხისმგებელია პარტიისათვის და პარტია პასუხისმგებელია ყოველი წევრისათვის“.

აი ვ. ი. ლენინის სახელზე სხვადასხვა დროს გაცემული პარტიული ბილეთების ფოტოპირები. ცოტა ქვემოთ კი პარტიის მეორე ყრილობის ამსახველი მასალები და დოკუმენტები. ყრილობამ დასაბამი მისცა ახალი ტიპის, ბოლშევიკური პარტიის შექმნას. დამთავალიერებელი ეცნობა ვ. ი. ლენინის ცნობილ გამონათქვამს „ბოლშევიზმი როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან არსებობს“.

სტენდებს ამშვენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ 1973 წლის 1 მარტს ხელმოწერილი პარტიული ბილეთი № 0000001, რომელიც ტრადიციულად შევსებულ იქნა ვ. ი. ლენინის სახელზე.

გამოფენილია 1917 წლის პარტიული ბილეთების ნიმუშები, ისინი ეკუთვნის ბოლშევიკური პარტიის უხუცეს წევრებს მიხა ცხაკაიას, გრიგოლ ფეოდოროვს, ალექსანდრა კოლონტაის.

ეხეკი ვ. ი. ლენინის ხელით შევსებული ოთხგვერდიანი ანკეტა (1920 წლის ფოტო), რომელიც 45 კითხვას და ორ ათეულ ქვეკითხვას შეიცავს.

დიდი სამამული ომის კვალი: ფოტოსურათი — ფრონტი, ბრძოლა, წარწერა „კომუნისტებო, წინ!“ გასისხლიანებული პარტბილეთები გმირი კომუნისტებისა, რომლებიც ვერაგ მტერთან ბრძოლაში დაეცნენ: ნიკოლოზ იაკოვლევის (სვერდლოვიდან), კაპიტან ბუხაიძის, რგვითი ჯარისკაცის ისაია ბერიკაშვილის სისხლით დალაქავებული პარტბილეთები, ომის ქარცეცხლი რომ გამოიარეს და ახლა გამოფენის ზედა სტენდზე მრწყინავენ.

აუღელვებლად ვერ ნახავთ სტენდის თვალსაჩინო ადგილას ვ. ი. ლენინის ერთ-ერთ ცნობილ ფოტოსურათს, რომელიც მტერთან ბრძოლაში დაცემულ უცნობ ჯარისკაცს უბეში უპოვნეს. ამ ფოტოსურათზე მებრძოლს წაუწერია სიტყვები: „მივდივარ ბრძოლაში, შენ ჩემთან ხარ, ჯავდები კომუნისტად, ძვირფასო მამა!“.

მუდმივი გამოფენის სტენდებზეა ლენინური პარტიის რიგების ზრდის დიაგრამები, ცოფები, პარტიის წევრთა ეროვნული შემადგენლობა საკავშირო მასშტაბით, აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტია ციფრებში (1921-1976 წლები).

გამოფენის ბოლო სტენდზეა სკკპ XXV ყრილობის მასალები და დოკუმენტები. გამოფენა მთავრდება ვ. ი. ლენინის სიტყვებით: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია“.

ბუნებრივია, ბევრს იზიდავს ეს მუდმივი გამოფენა „ლენინური პარტიის პარტიული ბილეთი“.

ს. ყურაშვილი.

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

მთავარი ყურადღება დისციპლინა

ურთიერ მთის ფერდობზე შეფენილი ეს დიდი, ბუნებით ლამაზი, მინერალური სამკურნალო ცხელი წყლებით მდიდარი სოფელი წლის ყოველ დროს გულმხურვალე მასპინძლობს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან აქ ჩამოსულ დამსვენებლებს. მაგრამ მარტო მინერალურმა სამკურნალო წყლებმა როლი გაუთქვა სახელი ცაიშს.

ახალი ცაიში ახალი ადამიანების მარჯვენით აშენდა და დამშენდა. ჩაის ფაბრიკა, კოლმეურნეობა, სასობიერო მეურნეობა, კირის ქარხანა, კულტურის კერები, საშუალო და რვაწლიანი სკოლები, დაწესებულებები, ორგანიზაციები. კურორტ-სოფელს პატარა ქალაქის იერს აძლევენ.

ასე დაწვრილებით იმიტომ შევეხეთ ცაიშის აშენდებას, რომ მკითხველს ეთვალთვალა წარმოდგენა შექმნას გამრჯე, შრომისმოყვარე ცაიშელებზე, ოლეტელ მუშაულის ნაკლებობას არ აგრძნობინებენ არც ერთ საწარმო-დაწესებულებას და მათ შორის ი. მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობას, იგი ერთ-ერთი მძლავრი საზოგადოებრივი მეურნეობაა ზუგდიდის რაიონში.

ყველა საქმის, — დიდისა თუ მცირის სული და გული სოფლის კომუნისტებები არიან. დიდია მათი ავანგარდული როლი, პირადი მაგალითის ძალა. სწორედ ამიტომაც არის, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ცაიშში არ მომხდარა საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, დანაშაულის არც ერთი შემთხვევა. დიდი ხანია სოფელში აღარ არიან სპეკულანტები, მეძეთახორები, ქურდები. მშრომელნი ყოველნაირად უფრთხილდებიან თავიანთ ავტორიტეტს.

ახლა შუა შემოდგომაა და ასეთ დროს შინ რა გაიჩერებს მშრომელ ადამიანს, რომელიც ცდილობს ჭირნახულის დროზე აღება-დაბინავებას, მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის საფუძვლის ჩაყრას. ჯერ ჩაის კრეფაც არ შემწყდარა და სიმინდის აღება დაიწყო. ამას მოჰყვება ხილის, ყურძნის, ციტრუსების, ტუნგის მოსავლის აღება. რამდენი რამ არის საზრუნავი ამ სოფელში!

იმ დღესაც კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პირდაპირ პლატაციებიდან, ზეკრებიდან და სიმინდის ყანებიდან მოვიდნენ ოფლშეუმშრალი კოლმეურნეები.

ულევადელი ამინდი არ ანებებენ კოლმეურნეობის მშრომელებს, მაგრამ მათმა ენერგიულმა გარჯამ, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებამ, ცოცხალმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ თავისი გაიტანა. კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანს ა. ქირიას მოჰყავს კოლმეურნეთა თავდადებული შრომის დამადასტურებელი ციფრები. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდა. მარტო ორი უკანასკნელი წლის მანძილზე მისი მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 2 ათასი კილოგრამით გადიდდა და ჰექტარზე 7 ტონას მიაღწია. მნიშვნელოვნად იმატა სიმინდის მოსავლიანობამაც. წელს საშუალოდ ჰექტარზე 30-35 ცენტნერ მოსავალს მოელიან, ხოლო იეგოსლავური ჯიშიდან — ორჯერ მეტს. მიღწეულია მეცხოველეობაში, რაც ძირითადად მეტი და იაფფასიანი საკვების შექმნისათვის გაწეული მიზანსწრაფული მუშაობის შედეგია. მაგრამ ამის მიუხედავად. აქ ხორცისა და რძის წარმოება მაინც ძვირი ჯდება.

კამთის მონაწილე კომუნისტებმა მოიყვანეს ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი, რომელსაც მეცხოველეობის განვითარებისათვის შედარებით ნაკლები ბაზა აქვს, მაგრამ ეს დარგი აქ რენტაბელურად იქცა. — მონდომება, საქმის სიყვარული რომ მეტი იყოს, — აღნიშნეს მათ, — ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეობაც სათანადო დონეზე იქნებოდა. შორს წასვლა არ არის საჭირო, რომ ახალსოფელთა გამოცდილება გადმოვიღოთ და დავნერგოთ.

მომხსენებელმა და ორატორებმა — საკოლმეურნეო კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ე. ტორნიამ, მერიაე — მ. ხუხუამ, ვეტერანმა კოლმეურნეომ კ. ქირიამ, მოწინავე ბრიგადიერმა, ნ. ჭეიქიამ თავიანთი გამოსვლები ძირითადად დაუთმეს ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედების გზებს, მომავლის პერსპექტივებს. ისინი განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისს დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებზე, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ალმა-ათაში წარმოთქმული სიტყვის დამრახმელ და მორგანიზებელ ძალაზე მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხილებისათვის ბრძოლაში.

ვეტერანი კომუნისტი ვერა ჯიქია კრების დაწყების წინ სოფლის ჭირ-ვარამზე რომ ესაუბრებოდა ახალგაზრდა კომუნისტებს, საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოვიდა. სამ ათეულ წელზე მეტია ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი ბეჯითად შრომობს და ახალბედა მეჩაიეებსაც უნერგავს შრომისადმი სიყვარულს. მან და სიტყვით გამოსულმა სხვა კომუნისტებმა ლ. კილასონიამ, ლ. გარდავამ, გ. პაჭკორიამ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ბოხუამ, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ალ. ხვიჩიამ ილაპარაკეს რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თმინონობაზე, რომელიც ყველა კოლმეურნემ გულთან ახლოს მიიტანა. „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით“. — ამ დევიზით შრომობენ ცაიშელი კოლმეურნეები და ღრმა, კეთილი კვალიც უფრო ნათლად გამოჩნდა. უკანასკნელ ხანებში სოფლად კიდევ უფრო განმტკიცდა შრომის დისციპლინა, იგი აქ წინსვლის მთავარ რეზერვად მიიჩნევთ. გაიზარდა ადამიანთა აქტივობა, ამაღლდა მომთხოვნელობა და თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა მისთვის მიჩენილი საქმისათვის.

კომუნისტები შეეხნენ სოფლის გასაჭირსაც და დააყენეს მშრომელთა მთელ რიგ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა მოგვარების აუცილებლობის საკითხი. ცაცხვისუბანში კლუბი და ბიბლიოთეკა არა აქვთ საჭირო შენობების უქონლობის გამო. კინოსამზერის აშენება აქ მომდინარე წლის დასაწყისში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დღემდე მისი მშენებლობაც არ დაწყებია. წელს დაიწყო ფეხბურთის მოედნის მშენებლობა, მაგრამ ისიც მალე ბედის ანაბარად მიატოვეს. საავჭრო ქსელში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ფასების დაბახინჯებისა და ზომა-წონაში მოტყუების ფაქტებს. კრებაზე გაკრიტიკებულ იქნა ცაცხვის რკინიგზის რესტორნის, სხვა საავჭრო ობიექტების ცუდი მუშაობა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თოდუა.

ცაიშელი კომუნისტები თავიანთ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მეურნეობის ყველა კუნჭულს შეეხნენ, ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილებანი, ხარვეზები გამომაზეურეს, გაკიცხეს და მათი გამოსწორებისათვის კონკრეტული ღონისძიებები დასახეს.

გ. ნოდია.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

თვალსაჩინო აგიტაცია ფაბრიკაში

ტყიბული. „დიდება შრომას“ — ასეთი წარწერა აქვს ტყიბულის ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორიაზე მოწყობილ სპეციალურ დაფას, რომლის დიაგრამების, პლაკატები ციფრების ენით ასახავენ იმ მიჯნებს, რომლებსაც ეკონომიკისა და კულტურის სფეროში უნდა მიაღწიოს საბჭოთა ხალხმა მეათე ხუთწლედის მანძილზე. დაფაზე ცალკე წარმოდგენილია ამ ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკისა და ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ამოცანები.

ნ. ჯინჯიხაძე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკის დღეები სსრ კავშირში

შესანიშნავი სიმფონიური კონცერტი

ლენინგრადი. კონსერვატორიის დიდ დარბაზში მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო სიმფონიურ კონცერტს, რომელშიც შესრულდა გერმანელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მსმენელები გულთბილად შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქში ჩამოსულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ვერნერ რაკვიტცი, აგრეთვე გერმანელ კომპოზიტორთა ჯგუფს.

კონცერტის დაწყებამდე საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი გულთბილად და გულითადად მიესალმა გერმანელ ამხანაგებს. ჩვენ, — თქვა მან, — განსაკუთრებით გვიხარია შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეებთან, ასალი სოციალისტური კულტურის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან. ჩვენი შეხვედრები იმ შემოქმედებითი კონტაქტების მკაფიო გამოხატულებაა, რომლებიც ემსახურება კულტურების ურთიერთგამდიდრების საქმეს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, დელეგაციის ხელმძღვანელმა ვერნერ რაკვიტცმა.

ჩვენთვის ძალზე სახსოვარია ის ფაქტი, რომ გამოვდიგართ საქართველოში — დიდი და უძველესი კულტურის მხარეში, ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიოს მისცა შოთა რუსთაველი. მისი პოემა პოპულარულია ჩვენშიც.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკის დღეები სსრ კავშირში სოციალისტური ქვეყნების მზარდი თანამეგობრობის ნაყოფია.

კონცერტზე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. კიღაძის ორიგინორობით საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთვნული პრემიის ლაურეატის ერნესტ მაიერის კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პრემიის ლაურეატის გიუნტერ კოხანის კონცერტი ორკესტრისათვის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პრემიის ლაურეატის ჰანს ეისლერის პატარა სიმფონია.

სოლოს ასრულებდა ბერლინელი მევიოლინე გუსტავ შმალი. მსმენელებმა მუსიკოსი და კომპოზიტორი მიურკალე ტაშით დაჯილდოდეს და ყვავილები მიართვეს.

— გუსტავ შმალი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ბერიძემ, — მაღალი კლასის მუსიკოსია. ვიოლინისა და ორკესტრისათვის კონცერტის მისი ინტერპრეტაცია ორიგინალურია და ღრმად ხსნის ნაწარმოების შინაარსს.

კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე. (*ხაინფორმი*).

10—11 ოქტომბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

„**შრომა და პური**“ — ასე ჰქვია „პრავდის“ კვირის ნომრის მოწინავე წერილს.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების საქმეში პარტიული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვან ამოცანებს ეხება პარტიის აბაკანის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის **ა. კაზაკის** წერილი **„როცა გადაწყვეტილება მიღებულია...“** (რუბრიკა **პარტიული ცხოვრება: მუშაობის ლენინური სტილისათვის**).

უდავოდ დაინტერესებს მკითხველს 10 ოქტომბრის „პრავდის“ მესამე გვერდზე გამოქვეყნებული **ვ. გუბარევის** სამეცნიერო-პოპულარული სტატია **„მარსელმო, სადა ხართ?“**

გაზეთის მეოთხე-მეხუთე გვერდებზე ფართოდ არის წარმოდგენილი საერთაშორისო ინფორმაციები.

„პრავდის“ 11 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულ მოწინავე წერილში **„საბოლოო შედეგებისათვის“** აღძრულია აქტუალური და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის ის, რომ თვითეულმა მშრომელმა იცოდეს, თუ ვისთვის შრომობს, როგორი იქნება მისი შრომისა და გარჯის საბოლოო შედეგი.

ენგურჰესის მშენებლობის ტემპი მატულობს. აქ ვადაზე ერთი თვით ადრე დაიწყო № 1 ტურბინის ჩასატანებელი ნაწილების მონტაჟი დროებით საძირკველზე. უკვე აწყობილია სტატორი. ამ სამუშაოებს აწარმოებენ ვ. მოლოდცოვის, ლ. ტეგრეის, შ. აბაკელიას, ზ. აბესაძის, ი. ლატარიას ბრიგადები. ასეთი წარწერით „პრავდა“ პირველ გვერდზე აქვეყნებს **ბ. სოკოლოვის** მიერ ენგურჰესის მშენებლობაზე გადაღებულ ფოტოსურათს.

მეორე გვერდზე რუბრიკით **„პარტიული ცხოვრება: ანგარიშგება და არჩევნები“** დაბეჭდილია „პრავდის“ კორესპონდენტის **ა. ბოგაჩიოვის** წერილი **„მთავარი თემა“**.

ამავე გვერდზე ბევრი საინტერესო წერილი და კორესპონდენციაა დაბეჭდილი რუბრიკით **„ჭანმრთელობის სამსახური“, „ხატირული კალმით“, „ხიახლენი“, „ძიება, აღმოჩენები“.**

ПРАВДА

სიმფონიური კონცერტი

ლენინგრადი. ფილარმონიის დიდ დარბაზში მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო სიმფონიურ კონცერტს, რომელშიც შესრულდა გერმანელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მსმენელები გულთბილად შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქში ჩამოსულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ვერნერ რაკვიტცი, აგრეთვე გერმანელ კომპოზიტორთა ჯგუფს.

„საქართველოს აგიტატორი“ № 19

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეცხრამეტე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწინავე წერილით **„ყურადღება, ჩვენი სადღეისო ამოცანები გვიხმობს“**; ქეთანისელ ავტომშენებელთა მუშაობის გამოცდილებას ეხება **ე. ლებანიძის** სტატია **„მიზანი: ეფექტიანობა და ხარისხი“**; ჩვენს რესპუბლიკაში ფართო მოწონება და გამოხმაურება გამოიწვია რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულმა თანამშრომლობამ **„დისციპლინა, პასუხისმგებლობა — ყველგან და ყველაფერში“**. ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალი მკითხველებს სთავაზობს **ი. წულუკიძის** წერილს — **„ხანდახანი კაცი უდისციპლინო ვერ იქნება“**; რუბრიკით **„სოციალური ნარკვევი“** ჟურნალი ბეჭდავს **ბ. გულიაშვილის** მასალას **„ერთი ოჯახის ბიუჯეტი, მოდით გავაანალიზოთ იგი“**; განყოფილებაში **„მასალები სიტყვერი გამოსვლისათვის“** დაბეჭდილია **ი. დავითაშვილის „წინ ახალი შრომითი მიჯნებია“**, და **თ. ჯაბადარის — „ბევრიც და კარგიც“**. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის დაბადების 90 წლისთავს ეძღვნება **ო. ცხვედიანის** წერილი **„პარტიის, ხალხის საყვარელი შვილი“**; მოელმა საქართველომ სიყვარულით აღნიშნა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ 100 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ჟურნალში დაბეჭდილია **ვ. რამიშვილის** სტატია **„ცოდნის ჩირაღდანი“**; რუბრიკით **„პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება“** ჟურნალის ახალ ნომერში გამოქვეყნებულია **დ. კალანდაძის** წერილი **„იქ, სადაც ცხოვრობს ადამიანი“**.

ჟურნალი მკითხველს სთავაზობს აგრეთვე განყოფილებებს: „კონსულტაცია“, „გამოიყენეთ საუბარში“, „თვალსაჩინო აგიტაციის დაუსწრებელი სემინარი“ და სხვა საინტერესო მასალებს.

ფურცელი რედაქციას

აწმყოს, მომავლის დასამშვენებლად...

საყოველთაო ზრუნვა ისტორიულ ძეგლებს

□

წარსულის მემკვიდრეობას, როგორც კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვან საშუალებას, შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს საზოგადოებას ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ფასდაუდებელია ჩვენი სახელმწიფოს ზრუნვა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენებისადმი.

ამ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში გაწეული სერიოზული მუშაობის შედეგად ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი გულმხურვალედ ზრუნავს ისტორიულ ფასეულობათა დაცვისათვის. პარტიისა და მთავრობის დადგენილებებში დაყენებულია მრავალი საჭირობოროტო ამოცანა საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის მკვეთრი გაუმჯობესების შესახებ. პრინციპულად დგას საკითხი — რადაც უნდა დაგვიჯდეს შეეძლოთ ისტორიულ ძეგლთა შენარჩუნება, რათა წარსულის მოწმეთა დიდი უმრავლესობა ჩვენს თვალწინ თანდათან არ გახდეს ბუნების ჭირვეულობის თუ კაცთა უდარდელობის, ზოგიერთი ვაი-მოყვარის თუ ცრუპატრიოტის ახირებულობის მსხვერპლი.

წინაპართა შემოქმედების, გარჯის დაფასება და მოვლა საუკეთესოდაა გადაწყვეტილი მოსკოვში, გორკში, საერთოდ რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბალტიისპირეთში. მთელ მუშაობის ნაგალითი ჩვენში ფართოდ უნდა დავნერგოთ.

სწორად გულისწყრომით ვიხსენებთ ავადმოსაგონარ შაჰ-აბასებისა და ბნელეთის სხვა მოციქულთა უსასტიკეს დამოკიდებულებას ჩვენი ძეგლებისადმი. და, ცხადია, არ გვეპატიება, როცა უყურადღებობის გამო ერთაშორისის შესანიშნავი ტაძარი და მისი გარემო ტალღდება. უკეთეს დღეში როდია რუსთავის ბერი ციხის სანახები, ხერთვისის დიდებული და დაღლილი ციხე-სიმაგრე და კიდევ ზოგი მცირე თუ დიდი, ჩვენი სამშობლოს დამცველი ნინუა — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი,— ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

მწერალი თენგიზ გიორგის-ძე **გოგოლაძე,** — ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სიბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოდნენ:

მწერალი რუთა (თამარ) ივანეს ასული **ბეროძე,** — ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით;

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვახტანგ დავითის-ძე **ნინუა** — **თბილისის** კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, — ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდან ამბ. ალექსანდრე იპოლიტეს-ძე **ჭირია,**— საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე, — რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

„საქართველოს აგიტ

დღეს მოკავშირე რესპუბლიკებში

ვრცელია ჩვენი დედა-სამშობლო

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით!

მეკატყობინებენ საკადესის კორესპონდენტები

ლენინის მემორიალი

ხუთი მილიონი დამთვალიერებელი

ულიანოვსკი, მეხუთმილიონე დამთვალიერებელი ეწვია ლენინის მემორიალს. ეს იყო ულიანოვსკის ოლქის ცილინინსკის რაიონის ისტორიის მასწავლებელი ა. გ. გოლოვინი.

მემორიალი 1970 წელს გაიხსნა ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავად.

„მემორიალური კომპლექსი, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ადგილას არის აგებული, მოწმობს საბჭოთა ადამიანების უდიდეს სიყვარულსა და მადლიერებას მშრომელთა დიდი ბელადისადმი, რომელმაც მთელი თავისი ნათელი ცხოვრება კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას შეალია.

დაე ეს დიდებული ძეგლი მარად ემსახურებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების პროპაგანდის კეთილშობილ საქმეს!“ — ასეთი ჩანაწერი დატოვა შოთაბეჭდილებათა წიგნში მემორიალის გახსნის დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ეს სურვილი სრულდება. მემორიალი ლენინური იდეების პროპაგანდის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა ჩვენს ქვეყანაში.

ᲣᲡᲢ-ᲘᲚᲘᲛᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

ეს ახალგაზრდები უსტ-ილიმის ელექტროსადგურის (აღმოსავლეთი ციმბირი) მშენებელთა ბრიგადის წევრები არიან. ბრიგადას ხელმძღვანელობს რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვიქტორ მიხაილოვი, ეს ჰაბუკები ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა რესპუბლიკიდან, ოლქიდან და მხარიდან ჩამოვიდნენ აქ სამუშაოდ.

სურათზე მარჯვნიდან მეორე აზერბაიჯანელი აჯარ რზაევი. იგი დაიბადა და გაიზარდა კახეთის ნაყოფიერ ველებზე, სადაც, როგორც ამბობენ, ხმელი ტრიტიც კი ხარობს. მაგრამ იგი მაინც ციმბირში წავიდა სამუშაოდ.

საკუთარი ინიციატივით გაცვალა ბალტიისპირეთის თბილი და რბილი ჰავა ციმბირის ყინვებზე ლატვიელმა არნოლდ კადიკისმა (მარცხნიდან მეორე), ხოლო ყირგიზი სტანბეკ კონურბაევს მტკიცედ სჯერა, რომ ისიც ყულის ტბის სანაპიროებს ბუნებაზე უკეთესი მხოფლიოში არ მოიძებნება, მაგრამ მაინც ციმბირში წავიდა.

ვიქტორ მიხაილოვის ბრიგადაში 17 ეროვნების ადამიანები შრომობენ. ისინი უერთგულესი მეგობრები არიან, მაგრამ სამუშაოზე ერთმანეთს „უბრძოლველად“ პირველობას არ დაუთმობენ. ჩამორჩენილს ერთსულოვნად ეხმარებიან.

ასეთი ხასიათი აქვთ რომანტიკოს-მეგობრებს, რომლებსაც სკკპ XXV ყრილობაზე სსრ კავშირის ენერგეტიკის და ელექტრიფიკაციის მინისტრმა პეტრე ნეპაროუნიმ ნამდვილი ინტერნაციონალისტები უწოდა.

სურათზე. უსტ-ილიმის ელსადგურის მშენებელთა ინტერნაციონალური ბრიგადის შვიდი წევრი.

შ. გრინბერგისა და ბ. კაუშმანის ფოტო (ახალი ამბების საგენტო).

ᲑᲐᲘᲙᲐᲚ-ᲐᲛᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ

უდოკანის ქედის გავლით

ᲢᲐᲘᲒᲘᲡ დაბა უსტ-ნიუკჯა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა კიდევ ერთი საყრდენი პუნქტი გახდა. აქ, ამურისპირეთისა და იმირბაიკალის საზღვარზე, ვერტმფრენავებმა ჩამოიყვანეს „ბამშენმექანიზაციის“ ტრესტის პირველ მექანიზმთა რაზმი. კოლექტივს დაევალა გაიყვანოს რკინიგზის მაგისტრალი უდოკანის ქედის გავლით ჩარის ხეობისაკენ.

მკაცრი ამ მხარის ბუნება, აღამიანებმა დიდხანს ვერ შეძლეს ჩარის ხეობის სიმდიდრის დაუფლება. ახლა ტაიგის ამ ყრუ მხარეში მაძიებლები ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ტაშკენტიდან, ალმა-ათიდან, ჩიტიდან და ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

სპეციალისტთა დასკვნით, აქ უმდიდრესი მიწისქვეშა საბადო: სპილენძის მადნის საბადოს ბაზაზე აიგება მძლავრი გამმდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 35 მილიონ ტონაზე მეტ მადანს გადაამუშავებს. კაჩიერების ღია დამუშავებისათვის გათვალისწინებულია გამოიყენონ 180 ტონა ტვირთამწეობის თვითმცლელები, გიგანტიექსკავატორები, საბურღი ჩარხები და სხვა თანამედროვე მანქანები.

სპილენძის გარდა, უდოკანის მადნის პროვინციაში გაერთიანებულია ნიკელისა და რკინის, ტანტალისა და ნიობიუმის, მაგნეტიტის კვარცტებისა და ქვანახშირის, მოლიბდენისა და ვოლფრამის საბადოები.

დღეს ბამის მშენებლები უკვე მიუახლოვდნენ მიუვალ უდოკანს. ტანდიდან თითქმის 150 კილომეტრზე ჩარის მხარეს გადაიჭიმა რკინიგზის ძაფყრილი. გაუვალ ტაიგაში, სადაც წინათ მხოლოდ მონადირეები და მეირმეები ცხოვრობდნენ, შეიქმნა საკავშირო დამკვეთელური კომკავშირული მშენებლობის საყრდენი პუნქტება — კუვიკტა, ხოროგოჩი. ლარბა, ლოფნა, და აი კიდევ ერთი — უსტ-ნიუკჯა. (საკადესის კორ.).

ᲑᲐᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲢᲐᲑᲘ.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲑᲔᲦᲔᲚᲨᲘ

ᲠᲘᲜᲘᲜᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ. ბელიაევის რაიონის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მხვნელ-მოსესელებმა წლეულს მარცვლეულის კარგი მოსავალი მოიწიეს. ყუბანელთა მაგალითისამერ მათ გადახდიდეს თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 330 ათასი ცენტნერი მარცვლეული ვალდებულებაზე 30 ათასით მეტი.

მეურნეობაში თავი გამოიჩინა გრიგოლ ალექსანდრეს-ძე კარპენკოს (სურათზე) რგოლმა. კომბაინერებმა შესრულეს სამშობლოსათვის მიცემული პირობა — 30.000 ცენტნერი მარცვლეული მომკეს და გალეწეს.

გ. ბიკოვის ფოტო (საკადესის ფოტოქრონიკა).

ᲙᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

ᲣᲠᲐᲚᲘᲡ ძველ ქალაქ დობრიანკის (პერმის ოლქი) მახლობლად დაიწყო 4,8 მილიონი კილოვატი სიმძლავრის პერმის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა. შენდება ევროპაში სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ძირითადი მოედნისაკენ, იქმნება ინდუსტრიული ბაზა, იგება საცხოვრებელი სახლები.

ახალ თბოელექტროსადგურს თავისი მასშტაბით, ორიგინალური ტექნიკური გადაწყვეტებით ბადალი არ ექნება ქვეყანაში.

ყოველწლიურად პერმის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური იცდაათ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

ᲬᲧᲜᲐᲠ ᲓᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲗᲝ ᲕᲝᲚᲒᲐᲖᲔ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მოგზაურობათა და ექსკურსიათა ბიურომ დაიქირავა თბომავალი „ბარგუზინი“, რომელიც 22 დღის კრუიზულ მოგზაურობაში დადის ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სამდინარო გზით როსტოვ-მოსკოვ-როსტოვის მარშრუტით. ტურისტებს საშუალება ეძლევათ ნახონ 12 დიდი ვოლგისპირა ქალაქი. თვითეული ამ ქალაქში მოგზაურებს მოეწყობა საინტერესო ექსკურსიები, რომელთა დროს გაეცნობიან მხარის ისტორიას, ძველ არქიტექტურულ ანსამბლებსა და თანამედროვე საცხოვრებელ კომპლექსებს, მძლავრ კაშხალებს, რომლებმაც გადახიდეს ვერეის უდიდესი წყლის არტერია.

„მუვანე სადგომები“ ვოლგის ნაპირებსა და კუნძულებზე საშუალებას აძლევენ ტურისტებს დატკბნენ შუა რუსეთის არყის ხის კორომების, მდელოების სილამაზით.

პირველად თბომავალი ჩერდება გმირ ქალაქ ვოლგოგრადში. დაუვიწყარია სტალინგრადის ბრძოლის მონაწილე დაღუპულ მეომართა მემორიალი მამაის ყორღანზე. კომპლექსი იხსნება ქანდაკებით „გმირძოლები უკანასკნელ წუთამდე!“. თითქოს თვით ვოლგა აღმდგარა ჯარისკაცებთან ერთად სამშობლოს დასაცავად. მემორიალს აგვირგვინებს დედასამშობლოს გიგანტური ფიგურა. ქალაქის ყველა კუთხიდან ჩანს ქალის ფიგურა, რომელიც ხალხს მოუწოდებს სამშობლოსათვის საბრძოლველად. კომპლესი შექმნა არქიტექტორთა კოლექტივმა ლენინური პრემიის ლაურეატის ე. ვუჩეტიჩის ხელმძღვანელობით.

საინტერესოა ექსკურსიები რუსეთის ისეთ ძველ ქალაქებში — კოსტრომაში, უგლიჩში, იაროსლავლში, ყაზანში.

ძველი ერთსართულიანი ხის სახლები ყოფილ ნიჟნი ნოვგოროდში კარგად ეხამება თანამედროვე გორკის — დიდი პროლეტარული მწერლის სამშობლოს მაღლივ შენობებს.

ლენინის დიდებულ მემორიალს ნახავენ ტურისტები ულიანოვსკში. მუზეუმებში დაცული უნიკალური დოკუმენტები აშუქებს ვ. ი. ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობას. მემორიალის შენობის მახლობლად ორიგინალური აუზია. ქართველმა მხატვარმა ზ. წერეთელმა იგი მოზაიკით მოაპირკეთა და ამ ნაწარმოისათვის ლენინური პრემიით დაჯილდოდა.

თბომავალი უახლოვდება მოსკოვის ჩრდილოეთ სამდინარო ვაგზალს. წარუშლელია შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს წითელი მოედანი, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი, უცნობი ჯარისკაცის ძეგლი, კალინინის პროსპექტი, ლენინის გორაკიდან გადაშლილი მოსკოვის პანორამა...

და კვლავ თბომავლის მოგზაურობა ფართო ვოლგასა და წყნარ დონზე — როსტოვამდე.

 Մ. ᲕᲘᲒᲜᲐᲜᲡᲙᲐᲘᲐ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ვოლგოგრადი. მამაის ყორღანზე; თბომავალი „ბარგუზინი“ „მუვანე სადგომთან“.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საკადესი და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

მსოფლიოს ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

11 ოქტომბერი

ᲑᲝᲚᲝ ᲛᲝᲕᲣᲚᲝᲗ ᲐᲠᲐᲠᲢᲔᲘᲓᲡ!

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დილეგების ტუსალებისადმი სოლიდარობის დღე

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის ხელოვნაულმდგომ სპეციალური კომიტეტის მოწოდებით მთელი პროგრესული კაცობრიობა ატარებს პოლიტიკური პატიმრებისა და, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დილეგების ტუსალებისადმი ხოლიდარობის დღეს. წლიურს ეს თარიღი, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება, დაემთხვა ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის მასობრივ გაძოსვლებს ფორსტერის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ.

აი უკვე ოთხი თვეა რასიზმის მთავარ ციხე-სიმაგრეში — სამხრეთ აფრიკაში გრძელდება დემონსტრაციები და გაფიცვები.

ქვეყნის 19 მილიონიანი მკვიდრი მოსახლეობა გადაჭრით მოითხოვს ბოლო მოუღონ აპარტეიდის საშინელ სისტემას, რომლის დროს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მილიონობით აფრიკელი მოქალაქე მოკლებულია თავის ქვეყანაში თავისუფლად მიმოსვლის, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის არჩევის უფლებას. ადამიანფობიებელი დისკრიმინაციის სუფევს შრომის ინაზღაურებაში, სამთომომპოვებელ მრეწველობაში აფრიკელს ეძლევა რვაჯერ, ხოლო დამუშავებელ მრეწველობაში — ოცჯერ ნაკლები ხელფასი ვიდრე თეთრკანიანს.

წლითიწლობით მატულობს უმუშევრობა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს ოფიციალური მონაცემებით ამჟამად ყოველი მეხუთე აფრიკელი უმუშევარია. მკვიდრ მოსახლეობაში მაღალია სიკვდილიანობის პროცენტი. აფრიკელ ბავშვთა თითქმის ნახევარი შიმშილით და ავადმყოფობით იხოცება ხუთი წლის ასაკის მიღწევამდე.

აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლნი მოითხოვენ ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო ამგვარ შეუწყნარებელ მდგომარეობას, მოსპონ რასიზმისა და აპარტეიდის რეჟიმი.

პრეტორიის ხელისუფალნი უხეში ძალადობით და სისტემიანი რეპრესიებით უპასუხებენ ამ კანონიერ მოთხოვნებზე. არასრული მონაცემებით, მიმდინარე წლის 16 ივნისიდან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მასობრივი ანტირასისტული დემონსტრაციების დაწყების პირველი დღიდან, ფორსტერის ჯალათებმა 1000-ზე მეტი აფრიკელი მოაკლეს. 2.000-ზე მეტი მშვიდობიანი დემონსტრანტი დაიჭრა და 5000-ზე მეტი დაპატიმრებულია, პოლიტიკურ პატიმართა რიცხვმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 100 ათას გადაამეტა.

მაგრამ მასობრივი პოლიტიკური რეპრესიებისა და ტერორის მიუხედავად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოსახლეობის გაერთიანებული წინააღმდეგობა ამარტეიდის წინააღმდეგ გრძელდება. მთა გადაჭრით უჭერს მხარს მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხთა დიდი უმრავლესობა.

საბჭოთა ადამიანები მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად მტკიცედ გამოდიან აპარტეიდის, რასიზმისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მხარს უჭერენ ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. (საკადესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, (საკადესი). საკურორტო დაბა სინაიაში გაიმართა რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუსა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის მოლაპარაკება.

ამხანაგებმა ნ. ჩაუშესკუმ და ე. გერეკმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რუმინეთის კომპარტიისა და პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, რუმინეთსა და პოლონეთს აკავშირებთ მეგობრობის, სოლიდარობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა.

ორი მომძე პარტიის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს რუმინეთის კომპარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, რუმინეთისა და პოლონეთის კვლავაც შეიტანონ წვლილი სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცებაში, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმეში.

რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პატივსაცემად გამართა სადილი, რომელზეც ნ. ჩაუშესკუმ და ე. გერეკმა სიტყვები წარმოთქვეს.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკადესის კორ.). სან-ფრანცისკოში გაიმართა მეორე ხატელევიზიო დისკუსია პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკელთა და დემოკრატთა კანდიდატებს ჯ. ფორდსა და ჯ. კარტერს შორის. აშკარად დისკუსიის თემა იყო ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც მილიონობით ამერიკელს აღელვებს, — საკითხი, თუ რა გზით უნდა განვითარდეს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა იმისათვის, რომ უზრუნველყოს მშვიდობა და შეამსუბუქოს გამალებული შეიარაღების მძიმე ტვირთი.

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

□

ᲰᲐᲜᲝᲘ, (საკადესი). აქ გაიმართა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს 1976 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ვიეტნამის მშრომელთა პარტიის IV ყრილობა.

როგორც ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ საინფორმაციო ცნობაშია ნათქვამი, მომავალი ყრილობის მზანია განიხილოს და განსაზღვროს სოციალისტური რევოლუციის კურსი მთელ ქვეყანაში, მეორე ხუთწლიანი გეგმის (1976-1980 წლების) მთავარი ამოცანები, მიღოს პარტიის ახალი წესდება და აირჩიოს ახალი ცენტრალური კომიტეტი.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოამზადონ და წარმატებით ჩაატარონ პარტიული კონფერენციები ყველა დონეზე, ყოველმხრივ განიხილონ პარტიის დოკუმენტები და ახალი წესდება, მოაწყონ და გაამაღონ შრომითი შეჯახებების მოძრაობა წარმოების განვითარებისათვის. ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა აგრეთვე შექმნან საამედო საფუძველი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მშვიდობიანი, დამოუკიდებელი, ერთიანი და სოციალისტური ვიეტნამის წარმატებით მშენებლობის უზრუნველყოფისათვის.

ᲞᲠᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲰᲐᲜᲐᲛᲐ, (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების მხედრობი ემზადება, რომ კვლავ ჩაერიოს ცენტრალური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში, აღნიშნულია პანამის მშრომელთა კონფედერაციის განცხადებაში, რომელიც აქ გავრცელეს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ რეგიონში მოქმედ იმპერიალისტურ მონოპოლიათა პოზიციების განმტკიცებისა და იმ ხალხთა დაშინების მიზნით, რომლებიც რევოლუციურ ბრძოლას აწარმოებენ, პენტაგონს განზრახული აქვს უახლოეს დროში ნიკარაგუაში მოაწყოს მანევრები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პენტაგონის, აგრეთვე ცენტრალური ამერიკის რეაქციული რეჟიმების ჯარები.

პენტაგონის აგრესიული ზრახვები დაგმეს პანამის სხვა ორგანიზაციებმაც. ნიკარაგუას ხალხთან სოლიდარობის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ სამხედრო წვრთნა დაგეგმილი ნიკარაგუას ტერიტორიის სწორედ იმ ნაწილში, სადაც გლეხთა გამოსვლები უცხოელი ექსპლოატატორებისგან ეროვნული სუვერენიტეტისა და ბუნებრივი რესურსების დასაცავად განსაკუთრებით ორგანიზებულია.

ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

საბჭოთა ავტომობილები პარიზში

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. (საკადესი). ყოველწლიური საავტომობილო სალონი, რომელიც პარიზში გაიხსნა გამოფენათა პარკში, ერთ-ერთ უველაზე წარმომადგენლობითს საერთაშორისო საავტომობილო კომერციულ ფორუმად ითვლება. წელს სალონში წარმოდგენილია საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, იაპონიის, ბელგიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების 790-მდე წამყვანი ფირმისა და კომპანიის მსუბუქი და სპორტული ავტომობილების მოდელები.

საბჭოთა კავშირი პარიზის საავტომობილო სალონის დიდი ხნისა და მუდმივი მონაწილეა. მის ექსპოზიციას ერთ-ერთი ცენტრალური სტენდი უკავია მთავარ საგამოფენო დარბაზში. აქ წარმოდგენილია „ეიგული“, „მოსკვიჩი“ და „ვოლგა“.

საბჭოთა ავტომობილებს დიდი წარმატება აქვს მომთხოვნ ფრანგ მყიდველებში, განუცხადა საკადესის კორესპონდენტს ჟ. პოკმა, იმ ფირმის დირექტორმა, რომელიც სსრ კავშირიდან საფრანგეთში ავტომობილების იმპორტს განაგებს. განსაკუთრებით პოპულარულია ვოლგასკის საავტომობილო ქარხნის პროდუქცია. თუ 1975 წელს საფრანგეთში გაიყიდა 5200 „ეიგული“, მიმდინარე წელს უკვე გაყიდულია ამ მარკის 12 ათასი ავტომობილი, ხოლო 1977 წელს ჩვენ ვვარაუდობთ გავყიდოთ უკვე 15 ათასი მანქანა.

საკადესი

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

● ᲝᲡᲚᲝ. ქალაქ ოსლოში დაიწყო საბჭოთა კულტურის დღეები ნორვეგიელები ეკეცნობიან ლიტვის სს რესპუბლიკის კულტურასა და ხელოვნებას.

მოსწი გაიხსნა რესპუბლიკის გრაფიკისა და ხალხური ხელმარჯვეთა გამოფენა. გამოფენის დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს ქარვის, კეთილშობილი ლითონების ნაკეთობანი, ქსოვილისა და ხის ნაწარმი.

ᲛᲝᲛᲚᲘᲡᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲙᲘᲕᲠᲓᲔᲑᲐ

● ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. შეერთებულ შტატებში ვაშენებენ ელექტროენერგიის ძვირდება კომუნალური მომსახურება. შარშანდელ წელს განმავლობაში ელექტროენერგიის გადასახადი ამერიკელს ოჯახისათვის წინა წელთან შედარებით 7,4 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით მკვეთრად გადიდდა ელექტროენერგიის გადასახადი ოკლაჰომის შტატში 26,5 პროცენტით.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

● ᲑᲝᲒᲝᲢᲐ. ლონდონიდან „დემოკრატიული პროფკავშირული თავისუფლებისათვის“ კოლუმბიის დედაქალაქში გაიმართა პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ეროვნული შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ კომუნისტები, სოციალისტები, ლიბერალები, ქრისტიანი დემოკრატები, უდიდეს პროფკავშირთა წევრები.

შეხვედრის მონაწილეების მიერ ერთსულოვნად მოწონებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ სლეიროა მთელი პროგრესული სახალხო ძალების შეკავშირება, მაგრ ერთიანობის უზრუნველყოფა, რათა გზა გადაუჭრას რეაქციას, რომელმაც ამ ბოლო დროს გაიხშირა პროფაშისტური ყაიდის გამოსვლები.

ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ

● ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის ხელისუფლებმა დააპატიმრეს უცხოელთა ჯგუფი ამერიკული და ინგლისური პასპორტებით. ისინი ნარკოტიკების კონტრაბანდას ეწეოდნენ, რომლებსაც გზავნიდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. დამნაშავენი მალე წარსდგებიან ინდოეთის სასამართლოს წინაშე.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝᲨᲘ გაიმართა მეორე ხატელევიზიო დისკუსია პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკელთა და დემოკრატთა კანდიდატებს ჯ. ფორდსა და ჯ. კარტერს შორის. აშკარად დისკუსიის თემა იყო ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც მილიონობით ამერიკელს აღელვებს, — საკითხი, თუ რა გზით უნდა განვითარდეს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა იმისათვის, რომ უზრუნველყოს მშვიდობა და შეამსუბუქოს გამალებული შეიარაღების მძიმე ტვირთი.

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

□

ᲰᲐᲜᲝᲘ, (საკადესი). აქ გაიმართა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს 1976 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ვიეტნამის მშრომელთა პარტიის IV ყრილობა.

როგორც ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ საინფორმაციო ცნობაშია ნათქვამი, მომავალი ყრილობის მზანია განიხილოს და განსაზღვროს სოციალისტური რევოლუციის კურსი მთელ ქვეყანაში, მეორე ხუთწლიანი გეგმის (1976-1980 წლების) მთავარი ამოცანები, მიღოს პარტიის ახალი წესდება და აირჩიოს ახალი ცენტრალური კომიტეტი.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოამზადონ და წარმატებით ჩაატარონ პარტიული კონფერენციები ყველა დონეზე, ყოველმხრივ განიხილონ პარტიის დოკუმენტები და ახალი წესდება, მოაწყონ და გაამაღონ შრომითი შეჯახებების მოძრაობა წარმოების განვითარებისათვის. ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა აგრეთვე შექმნან საამედო საფუძველი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მშვიდობიანი, დამოუკიდებელი, ერთიანი და სოციალისტური ვიეტნამის წარმატებით მშენებლობის უზრუნველყოფისათვის.

ᲔᲡ ᲦᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ თუ არა, რომ ხოფლად მოწეული მოსავალი ქალაქებს მილებით გადაეცეს? ხოფლის მეურნეობის პროდუქციის მზარდი კონცენტრაცია ტრანსპორტის სათანადო საშუალებებს მოითხოვს. ამის შესახებ წერს გერმანელი ავტორი გერჰარდ პოლაპფელი თავის ახალ წიგნში „სასოფლო ტექნიკა დღეს და ხვალ“. „უკანასკნელ წლებში სხვადასხვა ხახის ხილოსი დანშულების ადგილებზე ვერტმფრინავებით გადაკვეთ. მცირეოდენი ფანტაზიაა საჭირო, წერს ავტორი, რომ წარმოვიდგინოთ, რამდენად ხელსაყრელია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ქალაქისათვის მილებით გადაცემა. მაგალითისათვის წარმოვიდგინოთ ამგვარი მილებით შაქრის ჭარხლის ქალაქში მდებარე შაქრის ქარხანაში გადატანის ეკონომიურობა ტრანსპორტის სხვა საშუალებების გამოყენებასთან შედარებით“.

გერჰარდ ჰოლაპფელის იდეამ დიდი გამოხმაურება ჰოვა. საბჭოთა კავშირში, მაგალითად, ასეთი საცდელ გადამცემ მილს უკვე აგებენ მოსკოვის მახლობლად, სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც დაინტერესებულნი არიან ამ გამოგონებით.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ასეთი იქნება მომავალი „ტრანსპორტი“.

ᲜᲐᲮᲐᲢᲘ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲜᲝᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲓᲐᲜ“.

არა მარტო მსაჯოლებები

ამიელ მესხეთში მარტო ამ ერთ ავტობუსს შეუძლია ჯიუტად ადიოდეს ზემოთ ღამის წყვდიადში, უფსკრულის პირას გამავალ ვიწრო გზით. ავტობუსი დიდხანს — ერთ, ორ, სამ საათს მიდის ხოლმე. სადღაც მაინც გაჩერდება პატარა მთის სოფელში; ავტობუსში სინათლეს აანთებენ, და დაადაურებენ ბავშვებს — ღამის რეისის აუცილებელ მგზავრებს, შემდეგ კი თონის პურებს დატენიან ბარდებად. ერთმანეთს ყველსა და პამიდორს. რა ეჭქარებათ! შემოდგომაზე. როცა გლეხის დღე განსაკუთრებით დიდია, ბევრი დრო გავა, სანამ აქა-იქ დადგმული ფარნების ქვეშ გაიელვებდეს იმათი პირველი სილუეტები, ვისაც ღამის მთვლელი ელიან.

ავტობუსს რომ ჩაუვლის, სოფელი კაცი გულთბილად და ჩვეულებრივად. გეგონება გუშინ უნახავთ ერთმანეთი, იტყვის: „სალამო მშვიდობისა! როგორ გიკითხოთ?“, „დიდი მადლობა. არა გვიმავს რა“, — უპასუხებენ ასე ცხრა-ათ სააზე მოგროვდებიან მაყურებლები, რომლებიც შინ საქმეებს მორჩებიან, და იწყება სპექტაკლი.

და მერე ისევ — გრძელი გზა, მხოლოდ ახლა ქვემოთ, მშობლიური ახალციხისაკენ. თავის ხეობაში მშვიდად რომ არის განათებული ქუჩის ლამპიონებით. აქა-იქ მამლის ყივილი ვაისმის: თენდება. და ძნელია თქმა, გუშინდელი სამუშაო დღე დამთავრდა თუ ხვალინდელი დაიწყო. რეპეტიციამდე რამდენიმე საათი რჩება.

...რა უფრო ურჩევნია კაცს. მრავალი წლის მანძილზე დედაქალაქის ცნობილ სცენებზე გამოდიოდე ერთადერთი რეპლიკით „გოხოვთ სუფრასთან“, თუ პირველივე დამოუკიდებელი დღეებიდან შეასრულო მთავარი და კარი როლები მიყრეშეულ ადგილას, მოუწყოლელ სცენაზე? „რა თქმა უნდა, გამგზავრება, რასაკვირველია, თამაში!“ — არც კი დაფიქრდება, ისე უპასუხებს ყოველი ჩვენგანი მეორე კაცს, განსაკუთრებით ახალგაზრდას: აქ ყველა ბრძენი ვართ და სიამოვნებით ვიძღვევთ რჩევადარიგებებს. სხვა საქმეა, როცა ვიღაცამ კი არა, პირადად შენ უნდა დატოვო შენი ბავშვობის ქალაქი, ქუჩა, სადაც შენმა ყმაწვილობამ გაიარა, საყვარელი სახლი, მშობლები, ამხანაგები, ჩვეული ცხოვრება, საყოფაცხოვრები კომფორტი (ნუ მოგვიჩიდება ამ სიტყვისა: კომფორტი, ნორმალური ცხოვრება). და იმაში, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობა სოფლიდან დიდ სამრეწველო ქალაქებში წასვლას ისწრაფვის, არავინ ბრალს არ სდებს მას. ცხოვრება ყველაზე რთულ რეცეპტებსა და ჭეშმარიტებებზე უფრო რთულია. ბუნებრივი პროცესია თუმცა სრულიად არ არის ერთმნიშვნელოვანი. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის მეხუთედზე მეტი თბილისში ცხოვრობს — ეს დამაფიქრებელია...

მესხეთის სახელმწიფო თეატრს ჩვეულებრივ ახალს, ახალგაზრდას უწოდებენ. ერთიანა და მეორეც მართალია სანახევროდ. ახალგაზრდა დასი, ჯინდა თუ არა, წარმავალი მოგონება. მას შემდეგ, რაც მასხიობებმა — საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა — მეზობელი სარეჟისორო ფაკულტეტიდან თავიანთი თანატოლის ნანა დემეტრაშვილის მეთაურობით მშობლიური ლამაზი თბილისი საქართველოს მასშტაბით მეტად შორეულ ახალციხეზე გაცვალეს, ათი წელი გავიდა. არცთუ ისე ცოტა დროა. საუბარში სულ უფრო ხშირად ამბობენ. „იყო“, „ვიყავი“, „ვიყავით“, მართლაც, რომ აღარ დაბრუნდება

პირველი ქორწილი;
პირველი ახალმოსახლეობა;
პირველი „ნათლობა“;
პირველი პრემიერა;

პირველი სპექტაკლი ნამდვილი თეატრის შენობაში. ეს გასულ სეზონში მოხდა. მანამდე კლუბში გამოდიოდნენ, ერთი ბეწო სცენა რომ ქონდა უკულისებოდ.

ამხანაგის პირველი სიკვდილი, უაზროდ რომ დაიღუპა ოცდასამი წლისა. ახლა ფოიემი მისი პორტრეტების კუთხეა (ისინი ეს „უდღეურს უწოდებენ“). ამას წინათ აღნიშნეს მისი დაბადების ოცდამეათე წლისთავი, თბილისიდან მშობლები ჩამოვიალნენ.

პირველი სისხლი, რომელიც გაიდე სხვისთვის, მძიმედ დაავადებული აპოხანაგისათვის. სისხლს ყველა იძლეოდა, ვისი ჯგუფიც კი ემთხვეოდა. და სიკვდილისაგან იხსნეს — ექიმებთან ერთად. ამ შემთხვევის შესახებ დაიწერა ადგილობრივ გაზეთში, იმსჯელეს პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე.

ამ ხნის მანძილზე სამნი წავიდნენ. სამაგიეროდ, ჩვიდმეტის საცალად „ოჯახში“ ოცდაათზე მეტი გაჩხდა. ბავშვებთან და ქალაქიდან ჩამოსულ დასის შვილებასთან ერთად ვიღაც ალბათ კიდევ წავა თავიანთ იისეთი,ბებიებთან, ღამდამობით ავტობუსებით რომ არ ათრიონ ბავშვები დიდ თეატრებში. ვერაფერს იტყვი — ადამიანი შინ ბოუნდება. უხდა იფიქრო სხვა რამეზე — მხარის ხვალინდელ დღეზე, იმაზე, თუ ვის გადასცე მომავალში შენი საგანმანათლებლო ესტაფეტა — ტყუილად ხომ არ იცხოვიეს აქ მთელი ათი წელი. ისინი ფიქრობენ კიდეც. დიდი ხანია მოქმედებს მათ მიერ მოწყობილი სბავშვო თეატრი ქართულ სკოლასთან. ახლა ანა დემეტრაშვილი იმისათვის იღვწის, რომ თბილისის თეატრალურმა ინსტიტუტმა მოაყროვოს ჯგუფი ახალციხეში; დღე ქალაქმაც გაეზავნოს ხალხი მსახიობობის შესასწავლად, ისევე როგორც კოლმეურნეობა ბზავნის ხოლმე უმაღლეს სასწავლებლებში მომავალ აგრონომებს. და ასეთი საზრუნავი, იქნებ, მთავარი იყოს მათი ცხოვრების მისიაში, რომელიც სცენის ფარგლებს სცილდება.

მესხეთი საქართველოს გულისტკივილია; თავისი ეკოგრაფიული მდებარეობის გამო იგი გასულ საუკუნეებში პირველი იკურიეებდა ხოლმე ურიცხვი მტრის სასტიკ იერიშებს. აქ თვითეული ქვა მართლაც რომ სისხლით არის გაჟღენთილი. მზით გარეჯული ბალახით მოფენილ მთის ტერასებზე, დიდი ხანია დაცარიელებულ გამოქვაბულებსა და ლაბირინთებში, კლდეებში რომ მიმალულან. მამაცი ხალხის ბიოგრაფიას წაიკითხავთ. მესხეთის სახელმწიფო თეატრი ამ ბიოგრაფიის ტრაგიკულ და გმირულ ფურცლებს ფურცლავს, ტრადიციით ო. ჩხეიძის ახალი ისტორიული დრამის „ციორგის“ პრემიერით გაიხსნა წლევანდელი სეზონიც.

ახალციხელი მსახიობები, საკუთარ გზას რომ კვალავაენ ცოცრებასა და ხელოვნებაში მიჰყვებიან თავიანთი წინაპრების კვალს, იმ გზებით, რომლებსაც ქართველები უწოდებენ „მიტოვებულს“, ესე იგი დავიწყებული, დატოვებული გზებით. მიდიან, რათა დღევანდელ დღეს დაუბრუნონ წინა თაობების სულიერი სიმდიდრე.

თბილისში, მუზეუმში, მათ იპოვეს 1874 წლის აფიშა, რომელიც იუწყება, რომ ახალციხეში წარმოადგენენ პიესას „მინდა კნეინა გავხდე“ და რომ, „პიესისათვის შეკერილია კოსტიუმები“. იმავე დღეს ასი წლის შემდეგ ახალნდელმა დასმა წარმოადგინა სპექტაკლი ასეთივე აფიშითი. მესხეთის თეატრის კვალი არქივებში დიდხანს იკარგება და კვლავ გამოჩნდება 1920 წელს. შემდეგ კი ორმოციან წლებში. მათი ეს უკანასკნელი წინამორბედები მოხალისეებად წავიდნენ დიდ სამამულო ომში. შინმოუსვლელი ფრონტელების ფოტოსურათებს ყველაზე ლამაზი ადგილი აქვს დათმობილი ფოიემი. რა ყმაწვილებად გამოიყურებიან სამხედრო ფორმებში გამოწყობილნი ფოტოსურათებზე — ეს ყოველთვის ისე და მწვავედ გაოცებს. „დიას, მამები ჩვენზე ბევრად უფრო ახალგაზრდები არიან“. — ამბობს მსახიობი ოთარ რეხვიაშვილი. გლეხი მამამისიც მოხალისედ წასული ფრონტზე და დაღუპულა.

არსებითად ისინი ასე განაგრძობენ და ასე იწყებენ საქმეს.

გარეშე თვალს მხიარულად და რომანტიკულად წარმოუდგება მსახიობის ცხოვრება. სინამდვილეში კი ეს არის, რაღა თქმა უნდა, მოსაგრეობითი პროფესია. განსაკუთრებით ისეთ პირობებში, რომელთა გადრამატიზება საჭირო არ არის, მაგრამ გარომანტიზებაც ცოდვა იქნებოდა. ყოველ პატარა ქალაქში ყოველი სპექტაკლი მხოლოდ რამდენიმე წარმოდგენას უძღვებს, ამ თვალსაზრისით ახალციხელთა ბედი საკმაოდ ტიპურია. მაგრამ არის ჯარკვეული განსხვავებაც, მაგალითად, ცნობილი პანევეჟისის თეატრის ანალოგიური მდგომარეობისაგან, სადაც გამსვლელ სპექტაკლებთან ერთად მოგვარებულია მაყურებელთა კოლექტიური ჩამოსვლაც. მესხეთის დასახლებული პუნქტები გაბნეულია ერთმანეთისაგან, წარმოდგენაზე მასობრივი დასწრების მოწყობა რთულია.

წარმოდგენა „კულისების“ ტიპი ცხოვრების შესახებ თვით მსახიობებისაგან, იმ მარადიული აქტიორული ოპტიმიზმისაგან მომდინარეობს, რომლითაც ყოველგვარ გაჭირვებას იტანენ. რა აიღულებს ნიჭით მალმოფენილ მსახიობს, ორი შვილის დედას ლია სულუაშვილს ანდა წამყვან მსახიობს პიერ ქადაგიშვილს, აგრეთვე ოჯახის მამას, საკოლმეურნეო კლუბის ფანჯრიდან მონაფრიალები კიბით გადაძვრეს ატაბუაში, რომელიც ამაღამ ცვლის მსახიობის სპირფარეშოს, საგრიმიოროს, და — რაც ყველაზე უფრო მოუხერხებელია — კულისებს? ან და ავიღოთ ჯალინა პატარიძე. გუშინ სტაციონარულ სცენაზე მან გაგვაოცა თავისი არაპერიფერიული ოსტატობით გ. ხუხაშვილის სპექტაკლში „მამა, დედა და ბავშვები“, — რისი გულისათვის უნდა ჯაიწვალოს თავი ამდენ საათს ავტობუსში, ათწუთიანი ეპიზოდი რომ შეასრულოს? „სამაგიეროდ ვერ ვიტანთ ლანგრებს სიტყვებით „გთხოვთ სუფრასთან“ — ამკარაა, პირველად კარ უნდა ამბობდეს ამას მსახიობი მეგი თუშიშვილი. იგი მუდამ მხიარულია და, ერთი მეტადეი, ადვილად დაიჯერებ, რომ ერთი თვის მანძილზე ოცდაათ სპექტაკლში მონაწილეობა (მათ შორის ნახევარზე მეტი გამსვლელია) სიამოვნებაა, რომ სამიცი პრემიერა ათი წლის მანძილზე არაფერია.

...ოდესმე თავისი დიდი საზრუნავით დასაქმებული დიდი ქვეყნის ბეთილი ხელი ეი ასეთი უპრეტენზიონ დასების პრობლემებსაც მისწვდება. რაც უნდა იყოს, თეატრალური საქმის ორგანიზაციაში მრავალი ათეული წლის მანძილზე არაფერი არ იცვლებოდა, არაფერი არ უმჯობესდებოდა, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის გადაიჭრას საკითხი ცალკე, რომელიმე ქალაქისათვის. ნეხეთის დრამატულ კოლექტივს სამსახურებრივადაც, მეგობრულადაც ადამიანურადაც დიდად ეხმარებიან პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ გაგაშელი, რაიადმსაკომის კულტურის სამმართველოს უფროსი ელეუჯა კოპაძე, მეზობელი რაიონების საბჭოთა და პარტიული მუშაკები. პრინციპულად როგორ შეუქმნან ახე თუ ისე ნორმალური რეჟიმი გამრჯე თეატრალებს, რომლებიც უხმაუროდ და უანგაროდ აკეთებენ ხალხისათვის უდავოდ საჭირო საქმეს, — ამას მოიფიქრებენ, გადაწყვეტენ პარტიული მუშაკები, ეკონომისტები, ხელოვნებათმცოდნე მეცნიერები, ერთად რომ შეიკრიბებიან, ჯერჯერობით კი...

ჯერჯერობით კი, ძვირფასო მაყურებლებო, მოდით მათს ცხოვრებაში შეეხიდოთ ხოლმე არა მარტო ცნობისმოყვარეობის გულისათვის, არამედ მათი შრომის პატივისცემის ნიშნადაც. სოფელ ტოლოშის კლუბში, სადაც ისინი სპექტაკლებს დგამენ, ფანჯრის მინები ჩამსხვრეულია, იატაკსა და ჭერს ჯაგრისი და ფუნჯი არ ახსოვს, სკამები სცენაზე დამტვრეულია. იცით, რატომ ძვრებოდნენ სოფელ რუსთავის კლუბის ფანჯრებიდან მსახიობები? კულისებში ქერი დაეყარათ. ხომ შეიძლებოდა სხვა ადგილი გამოენახათ ამისათვის? მაგრამ ამაზე არ უფიქრიათ. შეეჩვევნენ. მსახიობები ყველაფერს მოითმენენ კაბის დასაკიდებელი არ არის სცენის უკან? რა ბედნაა, თვითეულ მსახიობს ყოველი შემთხვევისათვის ჯიბეში ლურსმანი აქვს: მიაჭედებს და დაკიდებს. თანაც ხუმრობს, ენამახვილობს, მაგრამ იქნებ მაინც გაკვეთცხა იატაკები, შეგვეკეთებინა ავეჯი?

დიას, მრავალი თვალსაზრისით ძნელ პირობებში ცხოვრობენ, მაგრამ მაინც აზარტულად, ბევრს, ერთობლივად მუშაობენ — მათი ამხანაგობა ხომ შედეგებებულია. იმ ღამეს საავადმყოფოში გაღებული სისხლითაც, საყვარელი საქმითაც, რომლისთვისაც სიცოცხლეს არ იშურებენ.

სეზონი კარგად დაიწყო. წარმატებით ჩაიარა პრემიერამ. მიიღეს დამატებითი დოტაცია. სპექტაკლების გასამართავად ზორს, ქალაქ კასპში გაემგზავრნენ, სადაც ქვეყნმა მეგობარმა, წინათ მესხეთში რომ მუშაობდა, პარტიის რაიკომის მდივანმა ლევან ისაკაძემ, თუმცა რთული საშემოდგომო საზრუნავი არ ელეოდა, ყველაფერი იღონა, რათა მოსახერხებელი და მყუდრო პირობები შექმნა მათთვის. ჯასტროლებმა წარმატებით ჩაიარა. ამ თეატრს საქართველოში ყველგან სიმპათიით ეკიდებიან. თანაც მისი აფიშაც გიზიდავს მრავალფეროვნებით, დამოუკიდებლობით. აღნიშნავენ თავიანთი დირექტორის მიხეილ მეძმარიაშვილის უიუღლესა და ვეხსიაზე გასვლას. ემზადებიან მეათე წლისთავის ზეიმისათვის, ელიან სტუმრებს. სტუმრები მათთვის აუცილებელია — რაც გინდა იყოს, მაინც ძალიან მოწყვეტილი ბრალნ ხელოვნების დიდი მაგისტრისაგან. მოუთმენლად ელიან ჩამოსულისაგან პასუხს: რა არ მოეწონა მათს სცენაზე? რა კარგია, რიგა სწორედ ასეთ კითხვას ხვამენ. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა საინტერესოა. და მერე სულ ფიქრობ, ნეტავ როგორ არიან იქ? ადვილია უსურვო მათ პროფესიული ზრდა. მეტი იმუშაონ ტექნიკაზე, პლასტიკაზე. უფრო რთულია გამონახონ ამისათვის დროისა და ძალის რეზერვები.

...ლბათ, ახლა ისინი ავტობუსში სხდებიან. ვაკა ნიკოლაიშვილს, რა თქმა უნდა გიტარა წამოუღია, ნანამ, როგორც ყოველთვის, ხელში აიყვანა ეიღაცის ბავშვი და, რა თქმა უნდა ეჩურჩულება, რომ შუბლი ძალიან ცხელი აქვს. ახლა შემოვარდება მეგი, გიტარასთან ახლო დაჯდება. „საღამო მშვიდობისა!“ — იტყვის, რა თქმა უნდა, ხმამაღლა და მხიარულად.

გ. კოტუნოვა,
„პრავდის“ სპეც. კორ.

„პრავდა“, 10-X-76 წ.

ჩვენს მაღლიან მიწაზე

ეჯამოდგომის ბარაქა

ა. გოგოლაძის ფოტოები.

საქართველოს ყველა კუთხეში შემოდგომის მომხიბლავ სურათებს შეხვდებით. კახეთში ყურძენი დაშაქრდა და რთველია, ქართლის ბალებში ფოთოლ-ყვითელი ნაყოფით დატვირთულან — ვაშლები, შავი-ზღვისპირეთში ციტრუსების ფერიცვალებაა.

ეს ფუტურები — დასახსოვრებელია კახეთისათვის. ბოდბელი უხუცესი კოლმეურნის ილო ჯანიაშვილის გული გულუხვ რთველს გაუხარებია და მოკრეფილი ყურძნის ფონზე, ჩხები ზევით აუწევია, სახეგაადერული დგას მუხასავით და თითქოს, სადაცაა წამოიწყებს საგალობელს „შენ ხარ ვენახი“.

ეს სურათი კი სოფელ ძველანგაგაშია გადაღებული. ახალგაზრდა ქალი ახლადამოვლებულ ჩურჩხელებს გასაშრობად ჯოხებზე კიდებს, ბავშვები კი გაშრობას როდი აცლიან, ერთი სული აქვთ, ვიდრე ჩურჩხელას ჩამოწყვეტენ და პირს ჩაიტკბარუნებენ.

ბედნიერი, გულუხვი შემოდგომაა!

ულამაზესი გრძოლა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამბაცალებლებს

ბალერუდენი

ქარელის რაიონში ხილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების აღება ერთდროულად მიმდინარეობს. გამრჯე ადამიანები დილიდან საღამომდე თავგამოდებით მუშაობენ, რომ წლის მოსავალი დროზე, უდანაკარგოდ აიღონ და ხვავს ხვავი მიუმატონ, დოვლათს დოვლათი.

ამ შრომელი ადამიანების გვერდით არიან ისეთებიც, თვალი სხვის ნაოფლაროზე რომ უპირავთ და ოილი გზით გამდიდრებას ცდილობენ.

რუსეთის საბჭოთა მეურნეობის აგრონომმა გიორგი შალვასძე კუთხაშვილმა იმის მაგვრად, რომ საზოგადოებრივი დოვლათი დატაცებისაგან დაეცვა, ავტომანქანის ძარა ხახვით აავსო და საკუთარ სახლში ჩამოიკარა.

ერთხანს იფიქრა, შემრჩაო, მაგრამ მისი ავკაცობა მხილებულ იქნა. კუთხაშვილს 750 კილოგრამი მოპარული ხახვი ავტომანქანაზე თვითონვე დაატვირთვინეს და საბჭოთა მეურნეობის დაუბრუნეს.

უმაგვსო საქციელით გიორგი კუთხაშვილმა მეურნეობის მუშამოსამსახურეთა გულისწყრომა და გაკიცხვა დაიმსახურა. იგი კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხეს, მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

ეს სამარცხვინო ამბავი მხოლოდ კუთხაშვილთა რიგი დაემართა, იმავე მეურნეობის მუშას ბიჭიკო ლენტოს-ძე ბალიაშვილს სხლში 2.750 კილოგრამი მოპარული ხახვი აღმოაჩინდა, მძღოლს ალექსანდრე გიორგის-ძე ვალიშვილს კი 940 კილოგრამი.

ხახვის ქურდები შინაგან საქმეთა ქარელის რაიონული განყოფილების (უფროსი — მილიციის მაიორი ა. გოგოლაური) ოპერატიული ჯგუფის წევრებმა გამოაელინეს. ეს ჯგუფი წლევანდელი მოსავლის უდანაკარგოდ დაბინავებისათვის შეიქმნა და მართლაც მტკიცედ იცავს საზოგადოებრივ დოვლათს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მესვეურებმა, აქტივმა გულოზელი დაიკრიფონ და საღათას ძილს მიეკონენ.

ქურდობა, რაც რუსეთის საბჭოთა მეურნეობაში მოხდა, იმას უნდა დავაბრალოთ, რომ წლის მოსავლის დამცველები, რომლებიც მეურნეობებს ჰყავს გამოყოფილი, თვალს გაგვეს ხუჭავენ, მინდობილ საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან, ხოლო მათ საქმიანობას კონტროლს არავინ უწევს. ჩანს, მეურნეობის ხელმძღვანელები, აქტივი. ნაკლებად ზრუნავენ საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და მოსავლის უდანაკარგოდ დაბინავებისათვის.

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მიწისძვრა თბილისში

11 ოქტომბერს თბილისში 11 საათსა და 40 წუთზე მოხდა 4-5 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა. მიწისძვრას ქალაქის ნაგებობებისათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს სეისმოლოგიური ობსერვატორია „თბილისის“ უფროსმა ინჟინერმა ა. ახალბედაშვილმა და მეცნიერმა თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. თუთბერიძემ, მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა ქალაქის მიდამოებში, ობსერვატორიიდან 30 კილომეტრ მანძილზე. მიწისძვრის ძალა არც ეპიცენტრში აღემატებოდა 4-5 ბალს.

სტიქიური მოვლენა დედამიწის ქერქში მიმდინარე ბუნებრივი ტექტონიკური პროცესებით არის გამოწვეული. როგორც ცნობილია, კავკასიის ტერიტორია განეკუთვნება ახალგაზრდა, ალპურ ნაოჭა სისტემას, სადაც დღესაც გრძელდება მთათწარმოქმნის პროცესები. აქ მნიშვნელოვან ტერატორიაზეა მოსალოდნელი მიწისძვრები, რომელთა ძალა შეიძლება სეისმური ინტენსივობის საერთაშორისო სკალის 7 ბალს აღწევდეს. ამის გამო კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მეცნიერთა რეკომენდაციით შენდება სეისმომედეგი ნაგებობანი. რომლებიც წარმატებით უძლებენ მიწისქვეშა სტიქიის ზემოქმედებას.

(საქინფორმი)

ფეხბურთი

რ ო გ ო რ ც გ ა ვ ა ფ ხ ს ულ ვ ზ ე

„დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — 3:0 (1:0).

11 ოქტომბერი, თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი. კ. სმირნოვი (ლენინგრადი).

„დინამო“ — გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, მუჯირი, ჩიკვაძე, დარახელია (ქილარია), ჭორიძე, ჩელებაძე (ესპუნა), ყიფიანი, წერეთელი.

„ზარია“ — ტკაჩენკო, პინჩუკი, მალიგინი, ვ. აბრამოვი, რაბოჩი, ფოროვალოიკი (ბელოუსოვი), ვ. კუზნეცოვი, ვ. მალი, ანდრეევი, კუკსოვი, ელისეევი (სტულჩინი).

თბილისელთა გუშინდელმა მოწინააღმდეგემ ქვეყნის საგაზაფხულო ჩემპიონატში რვა-ქულით უკანასკნელი ადგილი დაიკავა. საშემოდგომო ჩემპიონატშიც „ზარია“ უღიმღამოდ გამოდის და გათამაშების ცხრილში ბოლო გრაფა უკავია. დინამოელები უკანასკნელ მატჩებში დასუსტებული შემადგენლობით გამოდიან. მათ ლეონოვი ნაგების შემდეგ სატურნირო მდგომარეობა გაიუარესეს, ამიტომ ორივე გუნდს, რომ იტყვიან, უკან დასახევი გზა არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, გუნდებს ასეთ სიტუაციაში ყოფნამ განაპირობა ერთობ დაბალი თამაში. მაგრამ ორივე გუნდს მოთამაშეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეხვედრა კორექტულად ჩაატარეს.

ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ ასე თუ ისე მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათი ითამაშა მაღალ დონეზე, შემდეგ კი ინიციატივა მთლიანად თბილისელთა ხელში გადავიდა, სტუმრების შეტევებს მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

გუშინაც, როგორც საგაზაფხულო ჩემპიონატში, ორივე ანგარიშით — 3:0 თბილისელებმა გაიმარჯვეს. თამაშის ოცდამეხუთე წუთზე ბურთი გაიტანა ზურაბ წერეთელმა, ხოლო მესამოცე და ოთხმოცდამეხუთე წუთებზე კი მატჩის საუკეთესო მოთამაშემ დავით ყიფიანმა.

თამაშის დამთავრების შემდეგ ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზე ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, წარსულში სახელგანთქმულმა მეკარემ ეფერორ ბანაკოვმა დინამოელებს მიულოცა გამარჯვება და თქვა: მსჯობა კარგი იყო. სამიეე გატანილი ბურთი არაკეთილ ეშმას არ იწვევს. გაიმარჯვა სისწრაფემ, ტექნიკამ და ტაქტიკამ. ამ სამმა კომპონენტმა განაპირობა მოგება.

გ. ბახტურიძე.

მ ო ს კ ო ვ ს კ ა დ ა ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ს ი

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი. აი მათი შედეგები:

„ლოკომოტივი“ — „არარატი“ — 3:0

„ზენიტი“ — ცსკა — 3:3

36-ე საკავშირო პირველობა

სეზონოვას „ბენეფისი“

მეექვსე ტურის პარტიებიდან ძალზე საინტერესო გამოდგა გაფრინდაშვილ-ჩიბურდანიძის შეხვედრა. შუა თამაშში მსოფლიოს ჩემპიონმა პაიკის შეწირვა გადაწყვიტა. ჩიბურდანიძემ მალე დაარწმუნა ეს პაიკი და ბრძოლაც უკიდურესად გამწვავდა, ინიციატივას კვლავ ინდებულურად მსოფლიოს ჩემპიონი ფლობდა. საბოლოო ანგარიშით მას ეტლი და სამი პაიკი დარჩა შავების ორი მუბუქი ფიგურის წინააღმდეგ. ამასთან გაფრინდაშვილის გამსვლელმა პაიკმა მეშვიდე პორიზონტალს მიაღწია, თეორებმა მოსაგებ პოზიციაში გადადეს ეს პარტია.

ალექსანდრიან ლამაზად მოუგო ახმარუმოვას, იოსელიანმა პაიკი დაჰყარგა სემიონოვასთან და მძიმე პოზიციაში გადადო პარტია. რთული თამაშის შემდეგ ასევე უპაიკოდ დარჩა გურიელი ბელავენეცთან. პარტია გადაიდო. ტური ტურს მიჰყვება და მოსკოვის ჩემპიონი ოსტატი ზაიცევი სულ უფრო იუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას. ახლა მან უკვე თეს პოზიციაში გადადო პარტია ფომინასთან, ძალიან ძნიმე პოზიცია ჰქონდა ლევენტანს მულენკოსთან, მაგრამ ზაპოროჟიელმა ოსტატმა მეტ-ქეს პარტიის ხსნის შესაძლებლობები მისცა. გადადებულ პოზიციაში მულენკოს ისევ უკეთესი ენდშპილი აქვს.

ექვსი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებას შეიძლება თამამად ვუწოდოთ ახალგაზრდა კიეველი ოსტატის სემიონოვას — „ბენეფისი“. იგი 4 პარტიას ამთავრებდა და 3,5 ქულა მოაგროვა, მოუგო ალექსანდრიას, ჯურიელს, იოსელიანს, და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჩიბურდანიძესთან, ჩიბურდანიძეს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მოგების გზა არ აღმოჩნდა და ამ პარტიაში „ზაი დიდო“ ბრძოლის განუახლებლად.

ორ პარტიას ამთავრებდა მსოფლიოს ჩემპიონი გაფრინდაშვილი, რომელმაც ზუსტად გამოიყენა თავისი უპირატესობა ალექსანდრიასა და ჩიბურდანიძესთან. შეჯიბრების ლიდერმა ზაიცევამ მოუგო მულენკოს, ფომინასთან კი. პარტია არ დაუმთავრებია, რადგან ეს უკანასკნელი საუნინას ხედგზოდა. ეს პარტია კვლავ გადაიდო. ალექსანდრიამ მოუგო ეიმტვინსა და კისლოვას, ჟიველამ — ლევენტანს (ეს ლენინგრადელის პირველი დამარცხებაა). ჯურიელმა უარეს დამოლოოებაში ჩინებულ დაცვას მიაგნო და ყაიმს მიაღწია ბელავენეცთან. კახაბრაშვილს მოსაგები პოზიცია ჰქონდა ზატულოვსკაისთან, მაგრამ მცდარი გეგმა აირჩია მსუბუქი ფიგურების დამოლოებაში მას ორი ზედმეტი პაიკი დარჩა, მაგრამ იძულებული გახდა ყაიმს დასჯერებოდა.

გუშინ მეშვიდე ტურში ჩიბურდანიძემ მოუგო ბელავენეცს, ლევენტანმ — ფომინას, ახმარუმოვამ — კისლოვას, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

4,5 ქულითა და 2 გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა მოსკოვის ჩემპიონი, 20 წლის ლიუდმილა ზაიცევა.

დღეს მორიგი მერვე ტურია.

გ. გამრეკელი.

ჭიდაობა

თასის გათამაშება

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სსრ კავშირის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეეცილება რვა ნაკრები გუნდი. ესენი არიან: მოსკოვის, რუსეთის სფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და საქართველოს გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდს თასი 1973 წელს ჰქონდა მოპოვებული, მისი შარშანდელი მფლობელია რუსეთის სფსრ-ის გუნდი.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტში

წლეულს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა ევროპის ახალგაზრდათა ჩემპიონატში გამარჯვებისათვის ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა. მათ შორის არიან თბილისის დინამოელები **დავით ყიფიანი** და **ვლადიმერ გუცაევი,** რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ ნაკრების შემადგენლობაში.

ჩ ე ს ბ ი

ს. ანდიევი — აბსოლუტური ჩემპიონი

ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძეში დამთავრდა თავისუფალი სტილის უძლეურეს მოჭიდავეთა შერკინება სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობისათვის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მძიმე წონის ფალავნები ქვეყნის შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონი კიეველი ბორის ბიგაევი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ორჯონიკიძელი სოსლან ანდიევი. ბრძოლა მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა ქულებით გამარჯვა და ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სოსლან ანდიევმა.

ჩვენი რესპუბლიკიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორები თბილისელი არმიელი მ. ცნობლაძე და სოხუმელი დინამოელი რ. ხუტაბა.

ს ა ბ ჭ ო ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა

1 ადგილი — ბ. ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი

ბ ა ს კ ე ტ ბ ო ლ ი

ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ჩ ე მ პ ი ო ნ ი

ბ ო ქ ს ი

ბ. ბ ა ბ ა ი ა ნ ი — ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ჩ ე მ პ ი ო ნ ი

ბ ი ლ ი ა რ დ ი

ბ. ბ ა ბ ა ი ა ნ ი — ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ჩ ე მ პ ი ო ნ ი

ბ ე ს ბ ო ლ ი

ბ. ბ ა ბ ა ი ა ნ ი — ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ჩ ე მ პ ი ო ნ ი

ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

ბ. ბ ა ბ ა ი ა ნ ი — ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ჩ ე მ პ ი ო ნ ი

მ ე ც ნ ი ე რ ი ს მ შ ო გ ლ ი უ რ ი სოფელში

ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სახლ